2. **Годжаманов М.Г.** О создании локальных геодезических сетей в пределах ограниченных территорий. //Изв. вузов. Геодезия и аэрофотосъемка, 2002, №1 (спец. выпуск), стр. 3-8;
3. **Годжаманов М.Г.** Концепция математической обработки геодезических измерений при реконструкции ГГС Азербайджанской Республики. //Изв. вузов. Геодезия и аэрофотосъемка, 2004, №4, стр.18-31;
4. **Глушков В.В., Насретдинов К.К., Шаравин А.А.** Космическая геодезия: методы и перспективы развития. М.: Институт политического и военного анализа, 2002, 448 стр.;
5. **Серрапинас Б.Б.** Глобальные системы позиционирования. Учебн. изд. М.: ИКФ "Каталог", 2002, 106 стр.;
6. **Бойко Е.Г., Ванин С.А.** Особенности уравнивания сетей, построенных относительным методом спутниковой геодезии. //Геодезия и картография, 2001, №9, стр. 9-14;
7. **Большаков В.Д., Гайдаев П.А.** Теория математической обработки геодезических измерений. Изд. 2, перераб. и доп., М., Недра, 1977, 367 стр.;
8. **Юдин А.П.** Привязка локальных геодезических сетей к глобальным системам координат WGS и ITRF. //Геодезия и картография, 1998, №3, стр. 30-35;
9. **Engelhardt G., Mikolajski H.** Concept and results of the GPS data processing with Bernese and GIPSY software. //W. Dtsch. geod. komis. Bayer. Akad. Wiss. [Veroeff]. В. 1996, №304, pp. 37-51.

**EQUALIZING NETWORKS BASED REGARDING  
THE METHOD OF SATELLITE GEODESY**

**M.G. Godjamanov, A.I. Ismailov**

Baku State University  
23, Zahis Halilov str. Baku, AZ-148, Azerbaijan  
E-mail: [mgodja@yandex.ru](mailto:mgodja@yandex.ru); [alishir5701@mail.ru](mailto:alishir5701@mail.ru)

**Abstract.** This article deals with issues of equalization network built relative by satellite geodesy. General formulation of the problem equalizing satellite network is different from the traditional planned adjustment networks. If you have redundant measurements in networks of any type it occurs over determined system of equations for a unique solution which applies the principle of Gauss-Markov for independent measurement and generalized least squares method, when using the results of measurements or measurements are correlated with each other. From a theoretical point of view, all methods of adjustment (correlative, parametric and their modifications) are equivalent. To equalize the GPS satellite network (GHS GHS-1), built by the relative satellite geodesy, it is tempting to use correlative method. However, until now it was not possible to develop an algorithm (and therefore, a computer program on a computer) automatic selection of independent conditional equations and drafting amendments. Therefore, the main method of equalizing GPS network is parametric.

**Keywords:** satellite geodesy; coordinate; equalization; a parametric method correlative way Amendment.

## ASSESSMENT OF TENDENCIES OF VARIABILITY OF AVERAGE MONTHLY DISCHARGES OF ALAZANI RIVER AND THEIR ANNUAL SHARES

G.L. Grigolia,<sup>1</sup> D.N. Kereselidze,<sup>2</sup> K. Bulashvili,<sup>2</sup> M.Sh. Alaverdashvili,<sup>2</sup>  
V.Z. Trapaidze,<sup>2</sup> G.I. Bregvadze<sup>2</sup>

<sup>1</sup> Institute of Hydrometeorology of Georgian Technical University  
3 I. Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia

<sup>2</sup> Faculty of Exact and Natural Sciences of Iv. Javakishvili Tbilisi State University  
150, Agmashenebeli Avenue, Tbilisi, Georgia

E-mail: [vazha.trapaidze@tsu.ge](mailto:vazha.trapaidze@tsu.ge)

**Abstract.** With the purpose of establishment of tendencies of variability of average monthly discharges of Alazani River and their annual shares, computation of intra-annual flow of most important water artery – Alazani river that is one of the topical issues of supply of Kakheti region with irrigation water, has been carried out. Average monthly discharges  $Q$ , modulus coefficients  $K$ , percentage share  $P\%_Q$ , correlation coefficients of discharge trend  $r_Q$  and correlation coefficients of share trends for period of 1966-1986 years were computed by us for Alazani river (near Shakriani). Computation reveals that any trend is registered in none of months, the variability according to separate months is of almost the same nature and tendencies of increased or decreased variability according to discharge and percentage give us nearly identical picture.

**Keywords:** assessment; variability; Alazani River.

Water consumption in various sectors of economy rapidly increases in modern world that causes problems of water supply of separate regions. Issues of water supply (especially by drinkable water) become even complicated against the background of global climate change due to which significant change of intra-annual characteristics of rivers takes place. According to scenario of climate change, variation of value of annual river flow is expected, as the change of intra-annual distribution of this flow. Of course, proceeding from climate, physical-geographical and geological variety of territory of Georgia, it is impossible to extend this forecast to its whole territory, but it is clear that the issue of adjustment of rivers' flow will become even more complicated in the future.

Alazani river flow has been selected for calculation and establishment of tendencies of variability of average monthly discharges and their percentage share from annual discharges.

Alazani is the most important water artery of Eastern Georgia and is a river of mixed nutrition. Near Shakriani village the share of ground waters equals to 42.8% in annual flow, rain waters – 30.5%, while snow waters – 26.7%. The irrigation of agricultural plants is very important for territory of Shida Kakheti, especially for municipalities situated on the right bank of Alazani. Thousands of hectares of agricultural lands are irrigated here by waters of Alazani. Main channels of lower and upper irrigation system of Alazani river are the main irrigation facilities here. Water-carrying capacity of lower irrigation system is 20 m<sup>3</sup>/sec, length – 95 km, while the length of upper main channel is 68,8 km, and water-carrying capacity equals to 24 m<sup>3</sup>/sec [1].

Except of Alazani irrigation system featured by its complex engineering type (main channels), a lot of non-engineering or semi-engineering irrigation channels, which are fed from Alazani river and its

tributaries, are arranged here for irrigation of agricultural plants.

Not only economic activity, but also climate conditions have an impact on variability of water resources. Basic climate characteristics, which are one of the key determining factors of formation of fresh water resources, experience annual oscillation round some average values and these average values, determine the nature of climate of one or another region [2].

Intra-annual distribution of flows may be considered through selection of different ranges of averaging (average seasonal, monthly average, ten-day average, daily average). The depth of artificial adjustment of river flow determines intra-annual specification. It is known that in case of deep multi-year adjustment, a crucial importance is attached to variation of flows in separate years and in successive years. In case of less deep (e.g. seasonal) adjustment, the basic consideration is given to intra-annual distribution: variation of flows according to seasons, months and much less time-frames. If we deal with maladjustment, it is necessary to focus attention towards daily discharges during lack of water and duration of stay of minimal flows.

On the basis of calculation of intra-annual distribution occurs establishment of hydro-economic parameters (guaranteed water discharge, generation of energy, adjusting capacity of reservoir, etc.).

Proceeding from this fact, it is necessary to determine the share of flow according to months and to reveal the dynamics of quantitative changes that means assessment of trend. Linear regression is an illustrative method of revelation of trend, while trend significance may be accessed via value of correlation coefficient ( $r_{xi}$ ) between random value (x) and its order (row) number (i).

During the study of intra-annual distribution for separate months is significant to figure out the percentage share of every month out of annual distribution, which gives us more informative and reliable result along with monthly discharges [3]. Intra-annual distribution of flow is calculated according to hydro-economic years, which starts from surplus water season, basically from IV month. Average monthly discharges Q, modulus coefficients K, percentage share  $P\%_Q$ , correlation coefficients of discharge trend  $r_Q$  and correlation coefficients of share's trends for period of 1966-1986 years calculated by us for Alazani river (near Shakriani) are given in Table №1.

Table №1

Average monthly discharges Q, modulus coefficients K, percentage share  $P\%_Q$ ,  
correlation coefficients of discharge trend  $r_Q$  and correlation coefficients  
of share trends for period of 1966-1986 years of Alazani river (near Shakriani)

	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	III
$Q$	67.2	86.0	74.3	49.8	36.9	36.1	34.0	29.0	23.3	18.1	20.0	35.2
$K$	1.58	2.02	1.75	1.17	0.87	0.85	0.80	0.68	0.55	0.43	0.47	0.83
$P\%_Q$	13.2	16.9	14.6	9.8	7.2	7.1	6.7	5.7	4.6	3.5	3.9	6.9
$r_Q$	0.06	0.14	0.31	0.04	0.13	-0.08	0.06	0.09	0.19	-0.21	-0.05	-0.07
$r_{p\%}$	-0.09	-0.08	0.25	0.16	0.16	-0.11	-0.02	-0.02	0.18	-0.30	-0.17	-0.27

Trend significance can be calculated by means of correlation coefficient  $r$  between random value and its order number. If as a result of trend calculation there will be revealed that correlation coefficients and rank criteria are more than  $2\sigma_r$ , where  $\sigma_r = 1/\sqrt{n-1}$  or  $\sigma_r = \sqrt{n}/n-1$ , then we can conclude that trend is significant and may be considered as reliable. With the purpose of trend assessment, the correlation coefficient according to months and seasons was calculated (see Table №1). In our examples  $n = 20$ ,  $\sigma_r = 0.23$  and  $2\sigma_r = 0.46$ , and trend is registered, when  $r > 0.46$ .



For illustration purposes the diagram of variability of discharges in months with relatively high (positive or negative) correlation is given on Fig. 1.




Fig. 1. Diagram of variability of Alazani river discharges (near Shakriani) in I and IV months

Thus, above calculations reveal that any trend is registered in none of months, it has the highest value in June, while in other months it is characterized by low values, though there are positive tendencies in certain period (VI-VIII), while in other months (IV-VI) it is negative. There is also a coincidence of correlations in some months.

### References

1. Ukleba N. Multipurpose utilization of water resources in national economy. Tbilisi, TSU, 1997;
2. The second national message of Georgia for Framework Convention on Climate Change. Tbilisi, 2009;
3. Grigolia G., Kereselidze D., Trapaidze V. et al. Effect of beginning of the year on interrelation between annual river flow and precipitations and their trends. //Proceedings of the Institute of Hydrometeorology, vol. 115, 2008.

### Гидрология и метеорология

## ОЦЕНКА ТЕНДЕНЦИЙ ИЗМЕНЧИВОСТИ СРЕДНЕМЕСЯЧНОГО РАСХОДА РЕКИ АЛАЗАНИ И ЕГО ГОДИЧНОГО РАСПРЕДЕЛЕНИЯ

Г.Л. Григолия,<sup>1</sup> Д.Н. Кереселидзе,<sup>2</sup> К. Билашвили,<sup>2</sup> М.Ш. Алавердашвили,<sup>2</sup>  
 В.З. Трапаидзе,<sup>2</sup> Г.И. Брегвадзе<sup>2</sup>

<sup>1</sup> Институт гидрометеорологии Грузинского технического университета  
 пр. Агмашенебели 150, г. Тбилиси, Грузия

<sup>2</sup> Факультет точных и естественных наук  
 Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили  
 пр. И. Чавчавадзе 3, г. Тбилиси, Грузия

E-mail: vazha.trapaidze@tsu.ge

**Аннотация.** Для установления тенденций изменчивости среднемесячного расхода реки Алазани и его годичного распределения был проведен расчет внутригодового стока важнейшей речной артерии – реки Алазани, что является одним из актуальных вопросов для обеспечения региона Кахети поливной водой. Вычислены среднемесячный расход  $Q$ , модульные коэффициенты  $K$ , доля в процентах  $P\%_Q$ , коэффициенты корреляции трендов расхода  $r_Q$  и коэффициенты корреляции трендов долей  $r_{p\%}$  за период 1966-1986г.г. на р. Алазани (поблизости от Шакриани). Расчеты показали, что тренд не зафиксирован ни в одном из месяцев, изменчивость по отдельным месяцам имеет практически одинаковый характер, а тенденции повышающейся или понижающейся изменчивости по расходу и процентам дают нам почти одинаковую картину.

**Ключевые слова:** оценка; изменчивость; река Алазани.

## НЕКОТОРЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ ОБСЛЕДОВАНИЯ ПОВРЕЖДЕННЫХ ЖЕЛЕЗОБЕТОННЫХ СЕЙСМОСТОЙКИХ КАРКАСНЫХ ЗДАНИЙ

К. Дарчиашвили, В. Дарчиашвили, П. Реквава

Грузинская национальная ассоциация  
сейсмостойкого строительства и инженерной сейсмологии  
ул. Борджомская 7, 0119, г. Тбилиси, Грузия  
E-mail: v.darchiashvili@gmail.com

**Аннотация.** В докладе коротко рассмотрены некоторые результаты обследования отдельных, характерных экспериментальных сейсмостойких железобетонных каркасных зданий и их узлов, подвергнутых разным воздействиям. Даны рекомендации по усовершенствованию их конструктивных решений. Сформулированы несколько пунктов дополнений, рекомендуемых для современных национальных норм сейсмостойкого строительства.

**Ключевые слова:** активная сейсмозащита; каркасные здания; технические регламенты.

### ВВЕДЕНИЕ

Стандартными решениями при проектировании каркасных зданий в сейсмоопасных регионах являются два классических материала для их возведения: железобетонные конструкции и металлоконструкции. Как показывает опыт многих землетрясений, правильно рассчитанные, хорошо сконструированные или усиленные каркасные здания, как правило, вполне удовлетворительно переносят даже сильные землетрясения [1].

Каркасная конструктивная схема применяется для строительства жилых домов, общественных и производственных зданий. При строительстве указанных зданий, наибольшее распространение в сейсмических районах получили схемы с полным каркасом. Сейсмостойкость таких решений обеспечивается надежным соединением отдельных элементов в пространственную систему и более равномерным распределением масс и жесткостей здания.

Анализ показывает, что наиболее широкое распространение для многоэтажного строительства получили схемы с диафрагмами и ядрами жесткости. В зависимости от способа строительства такие здания выполнены в сборном и монолитном вариантах, в различных модификациях. Следует отметить, что в практике сейсмостойкого строительства, внедрены те конструктивные решения каркасных зданий, которые прошли экспериментальную проверку в базовых научно-исследовательских организациях Госстроя и Госгражданстроя СССР, а также Академии Наук [2].

С целью повышения сейсмостойкости новых конструктивных решений зданий, нами проведены множество натуральных статических и динамических, в том числе, вибрационных испытаний каркасных (рамной и рамно-связевой системы) и зданий с неполным каркасом, их моделей и отдельных узлов. На основе результатов этих испытаний выданы рекомендации по усовершенствованию их проектных решений.

### ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

В докладе коротко рассмотрены некоторые результаты натуральных испытаний отдельных, характерных экспериментальных сейсмостойких каркасных зданий и его узлов. В этих экспериментах

были изучены эффективность использования диафрагм жесткостей и систем активной сейсмозащиты разных конструкций. Рассмотрены также результаты обследования каркасных зданий, бывших в эксплуатации и поврежденных от разных динамических воздействий.

Специально для натурных испытаний, было построено и натурным вибрационным методом испытано на разных этапах строительства, девятиэтажное здание с первым гибким этажом с выключающимися связями. Экспериментом было подтверждено, что при выключении связей, действительно происходит выход здания из резонанса. Однако, на следующих этапах нагружения, уже без связей, выход из резонанса происходит только за счет появления пластических деформаций в основных несущих конструкциях, в самых колоннах.

Также натурным вибрационным методом испытано двухэтажное здание детского сада с безригельным каркасом из сборных железобетонных конструкций. Испытания проводились поэтапно, с применением разных типов диафрагм, с разной схемы армирования. В начальных этапах были использованы диафрагмы со сравнительно слабым армированием. На этих этапах при определенном уровне вибрационных нагрузок, в диафрагмах жесткостей стали появляться пластические деформации и здание стало выходить из резонанса. При повторных колебаниях этих этапов нагружения, также происходили поглощения энергии, но как ожидалось, уже на других частотах возбуждения. На очередном этапе испытания, при установке в ячейки каркаса здания диафрагм более усиленным армированием, произошел срез колонн на уровне перекрытий. На следующем этапе испытаний, диафрагмы были связаны друг с другом по вертикали, узлами из металлических профилей, что дало возможность высвобождения колонн от горизонтальных нагрузок и пластические деформации вновь стали появляться в диафрагмах.

С целью усовершенствования конструктивной схемы и отдельных узлов, было испытано двухэтажное каркасное здание столовой из сборных железобетонных конструкций. Испытания проводились в два этапа, с применением металлических крестообразных диафрагм жесткости и без нее. В первом этапе, на определенном уровне вибрационных нагрузок (до достижения расчетных) в колоннах стали появляться характерные волосяные трещины. На втором этапе испытания, в отдельных ячейках, продольном и поперечном направлении, симметрично, были установлены диафрагмы. На сравнительно высоких уровнях нагружения (до расчетных), металлические диафрагмы стали терять устойчивость и начали колебаться из своей плоскости, а в узлах сопряжения с колоннами начались соударения и возникла опасность повреждения колонн, после чего, испытания прекратились. В результате этих двух испытаний установлено, что устройство надежных узлов сопряжения между диафрагмами и основными несущими конструкциями здания, правильный подбор их конструкции и оптимальный подбор соотношения их несущей способности, имеет важное значение.

На основе результатов каждого проведенных натурных испытаний, выданы рекомендации по усовершенствованию конструктивных решений зданий.

Во время Спитакского землетрясения, из сравнительно современных зданий больше всего пострадали каркасные здания без диафрагм жесткостей. Полностью было обрушено здание центрального универсама. Обследования последствий других разрушительных землетрясений доказывают аналогичное.

Результатами обследования каркасных зданий без диафрагм жесткостей, подвергнувших разным динамическим воздействиям, зафиксированы повреждения лестничных клеток, а в зданиях, где диафрагмы установлены только в лестничных клетках, и или установлены несимметрично (часто встречаются такие решения), возникали проблемы от кручения. По нашему мнению, приблизительно аналогичные проблемы могут возникнуть и в каркасных зданиях с наклонными несущими колоннами. Такие решения часто встречаются в современном строительстве.

В зданиях, с так называемым чистым каркасом, из-за своей чрезмерной податливости, не

мало проблем возникают и без воздействия сильных землетрясений, на сравнительно низких уровнях внешних воздействий. Почти во всех обследованных нами зданиях как многоэтажных, так и малоэтажных, даже одноэтажных, несмотря на то, что в основном, каменная кладка как стен, так и перегородок было армировано и закреплено по контуру в несущую раму, зафиксированы трещины (оконтуривание) между несущим каркасом и ненесущими стенами – заполнением. Кроме визуальной стороны, этот фактор особенно неприемлем в регионах с влажным климатом, где атмосферные воды с помощью ветров, через эти трещины поступают внутри помещения, портят отделку, создают сырость и здание становится фактически непригодным к эксплуатации.

## ВЫВОДЫ И РЕКОМЕНДАЦИИ

Как известно, строить сейсмостойкие железобетонные каркасные здания без связи жесткостей и или систем активной сейсмозащиты, связано с огромным риском. Доказательством этому служат и проведенные нами исследования. Исходя из вышеизложенного и по фактической узаконенной практики современного строительства, когда часто решающим фактором является дешевизна зданий, по нашему мнению, в современные нормы сейсмостойкого строительства [3] следует внести следующие дополнения:

1. Во избежание появления недопустимых пластических деформаций в основных несущих конструкциях, сейсмостойкие каркасные здания должны проектироваться с применением систем активной сейсмозащиты и/или другими конструкциями поглощения энергии, типа специальных диафрагм, скользящих фундаментов, сейсмогасителей и других конструкций;
2. Достоверность результатов теоретических исследований и расчетных анализов всех принципиально новых конструктивных решений сейсмостойких каркасных зданий и их узлов, должны быть подтверждены натурными экспериментальными исследованиями;
3. Положение о концептуальном проектировании, по требованиям еврокод 8 [4], что подразумевает подбор конструктивной системы сооружения перед началом проектирования, в рамках заданных параметров (конструктивная система, высота, материал, класс пластичности, т.е. место появления пластических шарниров и зоны рассеивания энергии), совместными решениями архитектора, конструктора, главного инженера проекта и инвестора-заказчика; при проектировании также нужно рассмотреть два уровня расчетов, с соответственными критериями сейсмостойкости – на проектное и максимальное расчетное землетрясениях [5].

## ЗАКЛЮЧЕНИЕ

Следует отметить, что современное строительство многоэтажных каркасных зданий и изменившиеся нормы проектирования, требуют существенный пересмотр принятых решений, что актуально и с внедрением сейсмостойких конструкций с системами сухого строительства, которое обладает существенными преимуществами по сравнению с традиционным капитальным строительством.

В заключение нужно отметить, что и национальные инструкции по оценке сейсмостойкости эксплуатируемых (существующих) зданий [6] нуждаются в переработке, где более четко должны быть определены классификации зданий по капитальности, степени повреждения их несущих конструкций, нормирование механической безопасности и надежности объектов, концепция усиления и условия их ремонтно-восстановительных работ, а также роль заказчика (инвестора).

Восстановление, усиление и реконструкция несущих конструкций может иметь следующие

уровни:

1. восстановление состояния конструкций до уровня, предшествующего повреждению (в первоначальное состояние);
2. повышение степени сейсмостойкости до уровня выше первоначального;
3. доведение сейсмостойкости до уровня действующих нормативных требований (расчетного значения).

### **Литература**

1. **Ржевский В.А.** Сейсмостойкость зданий в условиях сильных землетрясений. Ташкент, ФАН, 1990, 258 стр.;
2. **Немчинов Ю.И.** Сейсмостойкость зданий и сооружений. Киев, 2008, 480 стр.;
3. Технические регламенты – "Сейсмостойкое строительство" (ПН 01.01-09), 166 стр.;
4. Euro code 8: Design of structures for earthquake resistance. Part 1: General rules, seismic actions and rules for buildings. EN 1998-1, 2004;
5. **Реквава П.А.** Современное сейсмостойкое строительство. Тбилиси, "Интеллект", 2009, 241 стр.
6. Инструкция по обследованию и установлению технического состояния с точки зрения сейсмостойкости жилых и общественных зданий, расположенных на территории республики Грузия, Тбилиси, 1992, 140 стр.

### **Construction and architecture**

## **SOME RESULTS OF ASSESSMENT OF DAMAGED EARTHQUAKE RESISTING R/C FRAME BUILDINGS**

**K. Darchiashvili, V. Darchiashvili, P. Rekvava**

Georgian National Association  
for Earthquake Engineering and Engineering Seismology  
7, Borjomi str., 0119, Tbilisi, Georgia  
**E-mail: v.darchiashvili@gmail.com**

***Abstract.*** This paper describes some results of the damage evaluation for experimental seismic proof reinforced concrete frame buildings and its joints under different actions. They are given suggestions for improvement of R/C frame buildings construction decisions. The paper introduces some clauses of prescription for National Codes on earthquake engineering.

***Keywords:*** active seismic protection; frame buildings; codes.

**შავი ზღვის წყლის ხარისხის შეფასება საქართველოს ფარგლებში\***

**რ.გ. დიაკონიძე, ე.გ. შენგელია, გ.გ. ჩახაია, ლ.ნ. წულუკიძე,  
ზ.ნ. ვარაზაშვილი, თ.ლ. სუპატაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162 ქ. თბილისი, საქართველო  
**E-mail: robertdia@mail.ru**

**ანოტაცია.** სტატია ეძღვნება შავი ზღვის წყლის ხარისხის შეფასებას და მისი ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვას.

მართალია, ერთი წლის კვლევა საკმარისი არ არის ზღვის წყლის ხარისხის შეფასებისათვის (ლაბორატორიული კვლევები გრძელდება), მაგრამ ლაბორატორიული კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა, მოცემულ ეტაპზე მოვახდინოთ მისი ზოგადი, მიახლოებითი შეფასება. მით უმეტეს, რომ ზღვის წყლის ხარისხი დროის მოკლე პერიოდში მკვეთრ ცვლილებებს არ განიცდის.

როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, შავი ზღვის წყალი სხვადასხვა ნორმატიული რეკომენდაციების მიხედვით დაბინძურებულია ზოგიერთი მძიმე მეტალით.

ეკოლოგიური შეფასების პოზიციიდან ზღვის წყლის ხარისხი ძირითადად I და II კლასის ფარგლებში იცვლება და მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში ზოგიერთი ინგრიდიენტი ჯდება უფრო დაბალ კლასში.

**საკვანძო სიტყვები:** ზღვა; წყლის ხარისხი; დაბინძურება.

**შესავალი**

დღევანდელი გადასახედიდან, ჩვენი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს ქვეყანაში ტურიზმისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ თვალსაზრისით საქართველო, მისი განსაკუთრებული მიმზიდველი კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გამო, ტურიზმისა და საკურორტო დარგების განვითარების მეტად პერსპექტიულ რეგიონს წარმოადგენს. ამ დარგის განვითარებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისათვის.

საქართველოს შავიზღვისპირეთი ერთ-ერთი პერსპექტიული რეგიონია, სადაც წარმატებით შეიძლება განვითარდეს ტურიზმი და საკურორტო ინფრასტრუქტურა. იქ დღესაც ფუნქციონირებს კურორტები: აჭარაში (კვარიათი, გონიო, ბათუმი, მახინჯაური, ქობულეთი და სხვ.), გურიაში (ურეკი, გრიგოლეთი), სამეგრელოში (მალთაყვა) და დროებით საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არმყოფ აფხაზეთში (ოჩამჩირე, ახალი ათონი, ბიჭვინთა, გაგრა, ლესელიძე და სხვ.). მათ რიცხვს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, უკვე შეემატა ანაკლიის საკურორტო ზონა (ზუგდიდის რაიონი). ანაკლიაში უკვე დაწყებულია საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. აღსანიშნავია

\* სტატია ეხება პროექტს, რომელიც განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი №FR/115/9-180/13). წინამდებარე პუბლიკაციაში ავტორთა მიერ გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ისიც, რომ ამ რეგიონში კურორტის განაშენიანებას, გარდა ეკონომიკურისა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვაც ენიჭება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართალია, ტურიზმისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის, მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება საკურორტო ზონების ეკოლოგიური უსაფრთხოება და დამსვენებლებს, ან ტურისტებს არ შეექმნებათ ნეგატიური პრობლემები, მით უმეტეს, რომ ჩვენს პლანეტაზე დღეს მიმდინარე კლიმატური ცვლილებების ფონზე საგრძნობლად იმატა სტიქიების რიცხვმა. მსოფლიოს ცნობილ მეცნიერთა პროგნოზით, 21-ე საუკუნეში მოსალოდნელია ჰიდროსფეროს მნიშვნელოვანი დაბინძურება და ოკეანის დონის ამაღლება, რაც ნეგატიურად იმოქმედებს ბუნებრივ გარემოზე. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც საქართველო და მისი შავიზღვისპირეთია გამონაკლისი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამჟამადაც მოქმედებს შავიზღვისპირეთში ნავთობის ტერმინალები (სუფსა, ყულევი), რომელთაც, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობების გადაწყვეტილებით, მომავალში შეემატება თხევადი გაზის გადამამუშავებელი ტერმინალები. აქედან გამომდინარე, არსებობს ტერმინალებიდან ნავთობის დაღვრის დიდი ალბათობა, რაც კატასტროფულად შეიძლება აისახოს ადგილობრივ ბუნებრივ გარემოზე. ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის ინტერვენცია, რის შედეგადაც 2008 წლის აგვისტოში ფოთის პორტში ჩაიძირა რვა მცურავი საშუალება და ზღვაში ჩაიღვარა 50 ტონამდე ნავთობპროდუქტი. ზღვაში მოხვდა, აგრეთვე, აფეთქებული ჭურვების შიგთავსი, რომლის ტოქსიკური შემადგენლობა დაზუსტებული არ არის. ნავთობპროდუქტების ჩაღვრამ დააბინძურა შავი ზღვის ზოლი და საფრთხე შეუქმნა ზღვის აკვატორიის ნაწილს, მის იქტიოფაუნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წარმატებით განვითარდეს საქართველოში საკურორტო და ტურიზმის დარგები, მეტად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს შავი ზღვის წყლის ხარისხისა და ზღვისპირა კურორტების ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა. კვლევის სტრატეგიას წარმოადგენს შავი ზღვის წყლის ხარისხისა და შავიზღვისპირეთის ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასება.

### **პირითადი ნაწილი**

შავი ზღვისპირეთის ეკოლოგიური უსაფრთხოება, პირველ რიგში, რა თქმა უნდა გამოსახება წყლის ხარისხის დაცვაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ წყალში შემავალი სხვადასხვა ნივთიერებები უნდა შეესაბამებოდეს მათ ზღვრულ დასაშვებ ნორმებს და მისი ხარისხის დაცვა განპირობებული იყოს ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული ნეგატიური პრობლემებისაგან; დამსვენებლების, ტურისტების და აქ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ნათელი გახდეს შავი ზღვის წყლისა და აქ განვითარებული ინფრასტრუქტურის უსაფრთხო პრაქტიკული გამოყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ზღვის წყლისა და ზღვაში ჩამდინარე წყლების ხარისხის შესაფასებლად შავი ზღვის აკვატორიის 6 პუნქტში და მასში ჩამდინარე მდინარეების 8 შერჩეულ კვეთში აღებულ იქნა წყლის სინჯები მათი შემდგომი ლაბორატორიული გამოკვლევისათვის.

ლაბორატორიული კვლევების შედეგების ანალიზმა, რის საშუალებასაც იძლეოდა ერთი წლის კვლევები, საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა წინასწარი (მიახლოებითი) შეფასება ზღვისა და მასში ჩამდინარე წყლების ხარისხის დაბინძურების შესახებ. ამისათვის გამოყენებული იქნა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული და მთავრობის მიერ დამტკიცებული ზღვრული დასაშვები კონცენტრაციების ნორმატივები [1], მათში სხვადასხვა დროს შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით [2], აგრეთვე ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ნორმატივები [3, 4, 5]. წყლის კლასიფიკაციის შესაფასებლად ეკოლოგიური უსაფრთხოების პოზიციიდან გამოყენებულ იქნა ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს რეკომენდაციები (CЭB) [6].

ლაბორატორიული კვლევის 1 წლის შედეგებმა (ჯერჯერობით არასრულმა, რადგან საგრანტო პროექტი კიდევ 2 წელი გაგრძელდება) გამოავლინა, რომ ზღვის წყალი ჩვენი ქვეყნისა და სტატიაში ზემოაღნიშნული ნორმატივების მიხედვით დაბინძურებულია ზოგიერთი სახეობის მძიმე მეტალებით (გრანტი № FR/115/9-180/13-ის ანგარიში). საშუალო მაჩვენებლის მიხედვით მათი რაოდენობა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას აჭარბებს: თუთია – 15,2-ჯერ; სპილენძი – 5,62-ჯერ; ნიკელი – 11,6-ჯერ; დარიშხანი – 3,1-ჯერ; ტყვია – 3,09-ჯერ და ფენოლები – 10-ჯერ. CЭB-ის რეკომენდაციების მიხედვით წყლის (ზღვა, მდინარეები) ხარისხი ეკოლოგიური შეფასების პოზიციიდან საკმაოდ მაღალია და ძირითადად მერყეობს I-II კლასის ფარგლებში, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ზოგიერთი ინგრიდენტი ხვდება უფრო დაბალ კლასებში.

## დასკვნა

შავი ზღვისა და მასში ჩამდინარე მდინარეების წყლის სინჯების ერთი წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზმა საშუალება მოგვცა მიახლოებითი სიზუსტით შეგვეფასებინა მათი ხარისხი, კერძოდ, ჩვენი და სხვა ევროპული ქვეყნების ზღვრული დასაშვები კონცენტრაციების ნორმატივების მიხედვით ზღვის წყალი დაბინძურებულია ზოგიერთი მძიმე მეტალით. ეკოლოგიური შეფასების პოზიციიდან როგორც ზღვის, ისე მდინარეების წყლის ხარისხი ძირითადად (CЭB-ის რეკომენდაციები) თავსდება I და II კლასებში და მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ზოგიერთი ინგრიდენტის მაჩვენებელი უფრო დაბალი კლასისაა.

კვლევის მომდევნო ეტაპზე წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევების დამატებითი მონაცემები, საშუალებას მოგვცემს წყლის ხარისხის შესაფასებლად.

## ლიტერატურა

1. „პიგიენური მოთხოვნები წყლის შემადგენლობასა და ხარისხზე სასმელ-სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო წყალმომარების ობიექტებში და წყალში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ)“. //საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს № 297/ნ ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“. საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (სსმ), №90, 24.08.2001, გვ. 51-93;
2. „მოსახლეობის წყალმომარების ადგილებში ზღვის სანაპირო წყლის დაცვა დაბინძურებისაგან, სანიტარული წესები და ნორმები.“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისი, 2000, სანწ-დან 2.1.5. 000-00;
3. **Яковенко П. И., Рисунов О. А., Яковенко Ю.П.** Первое из чудес природы. Издательство "Урожай", Киев, 1989, 160 стр.;
4. Санитарные правила и нормы охраны поверхностных вод от загрязнения. Министерство здравоохранения СССР. Главное Санитарно-эпидемиологическое управление, Издание официальное, М., 1988, 70 стр.;



5. Постановление от 27.02.2010 №15, об утверждении требования СанПиН 2.1.5.2582-10 "Санитарно-эпидемиологические требования к охране прибрежных вод морей от загрязнения в местах водопользования населения", Российской Федерации. 2010 г.;
6. Рекомендации – "Единые критерии качества вод". Совет Экономической Взаимопомощи (СЭВ), Секретариат СЭВ, 1982, 68 с.

**Environmental protection**

**EVALUATION OF BLACK SEA WATER QUALITY IN BORDER OF GEORGIA**

**R.V. Diakonidze, E.G. Shengelia, G.G. Chakhaia,  
L.N. Tsulukidze, Z.N. Varazashvili, T.L. Supatashvili**

Ts. Mirtskhulava Water Management Institute  
of Georgian Technical University  
60, Chavchavadze ave. 0162, Tbilisi, Georgia  
E-mail: [robertdia@mail.ru](mailto:robertdia@mail.ru)

**Abstract.** Article dedicated to evaluation of Black Sea water quality and protection of its ecological safety.

Its true, that one year research is not enough to evaluate of Black Sea water quality (laboratory researches is going), but results of laboratory researches allows to make focus at general approximate evaluation of laboratory researches results at this stage. Because sea water quality will not change drastically in the short period.

As seen from researches results Black Sea water is polluted with heavy metals according to normative recommendations. From the position of ecological evaluation sea water quality mainly changes between I and II class and only in some cases include lower class.

**Keywords:** sea; water quality; pollution.

**Охрана окружающей среды**

**ОЦЕНКА КАЧЕСТВА ВОДЫ ЧЕРНОГО МОРЯ В ПРЕДЕЛАХ ГРУЗИИ**

**Р.В. Диаконидзе, Э.Г. Шенгелия, Г.Г. Чахая, Л.Н. Цулукидзе,  
З.Н. Варазашвили, Т.Л. Супаташвили**

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава  
Грузинского технического университета  
пр. И.Чавчавадзе 60, 0162, г. Тбилиси, Грузия  
E-mail: [robertdia@mail.ru](mailto:robertdia@mail.ru)

**Аннотация.** Статья посвящена оценке качества воды Черного моря и защите его экологической безопасности.

Разумеется, одногодичные исследования недостаточны для оценки качества морской воды (лабораторные исследования продолжаются), однако результаты лабораторных исследований дают возможность на данном этапе произвести ее общую, приблизительную оценку. Тем более, что качество морской воды за короткий период времени не претерпевает резких изменений.

Как показали результаты исследований, вода Черного моря, согласно различным нормативным рекомендациям, загрязнена некоторыми тяжелыми металлами. С позиции экологической оценки качество воды Черного моря меняется, в основном, в пределах I и II класса и только в единичных случаях некоторые ингредиенты оказываются в более низком классе.

**Ключевые слова:** море; качество воды; загрязнение.

საქართველოს ქალაქებში ეკოლოგიური მდგომარეობის  
ბაზმჯოგენება მენობებისა და ნაბეობების სახურავებზე  
მწვანე საფარის მოწყობის ბოი

ზ.ა. ეზუბაია,<sup>1</sup> ი.რ. ირემაშვილი,<sup>2</sup> ნ.გ. მსხილაძე,<sup>1</sup> შ.ნ. ჭეიშვილი<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მ. კოსტავას ქ. 77, 0175, ქ. თბილისი, საქართველო  
E-mail: zezugbaia@mail.ru

<sup>2</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162 ქ. თბილისი, საქართველო  
E-mail: ingairema@yahoo.com

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება მენობების და ნაგებობების სახურავებზე მწვანე საფარის მოწყობის ნოვაციურ ტექნოლოგიებს. ფართოდ არის წარმოდგენილი ასეთი საფარის სახეები, დეტალურადაა მოცემული მათი კონსტრუქციული მახასიათებლები. ნაშრომში გაკეთებული შესაბამისი დასკვნები, რომლებიც ახასიათებენ ასეთი ბურულების მოწყობის ტექნიკურ და ეკოლოგიურ უპირატესობებს ჩვეულებრივ ბურულებთან შედარებით.

**საკვანძო სიტყვები:** სახურავი; ბურული; მწვანე საფარი; მწვანე ნარგავები; ეკოლოგია.


ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ჩვენს პლანეტაზე მისი გაჩენის დღიდან იწყება. მას შემდეგ ადამიანი არა მარტო შეეგუა გარემომცველ გარემოს, არამედ აქტიურად დაიწყო მისი გარდაქმნაც: გაჩეხა ტყეები, გადახნა მიწები, გაიყვანა გზები, ააგო ხიდები და კაშხლები, ააშენა ქალაქები და ა.შ. დიდ ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ადამიანს გაუადვილა ბუნების გამოყენება.

ბოლო წლებში თბილისში დიდი რაოდენობით აშენდა საცხოვრებელი მენობები. მათი უმეტესობა – პრესტიჟულ უბნებში. განაშენიანების სიმჭიდროვის გამო განადგურდა გამწვანებული ფართობები. მკვეთრად გაიზარდა მანქანების რაოდენობა. საფეხმავლო გზა – ტროტუარები გადაიქცა მანქანების სადგომად. მანქანების დიდმა რაოდენობამ გამოიწვია ჰაერის დაბინძურება. მრავალსართულიანი მენობების მჭიდროდ განაშენიანების გამო მენობები ჩრდილავენ ერთმანეთს, ირღვევა განათებულობის ნორმები – ბევრი ბინა მოკლებულია მზის შუქს.

სუპერურბანიზაციამ გამოიწვია მიკროკლიმატის და ადამიანის საცხოვრებელი პირობების გაუარესება. სავალალოა ქალაქური ცხოვრების განუყოფელი ნაწილის – თბილისის პარკების, სკვერების და ქალაქის გარშემო რეკრეაციული ზონების მდგომარეობა, არ კეთდება ეკოლოგიური სიტუაციის მასშტაბური ანალიზი; მიმდინარეობს მშენებლობები რეკრეაციულ ზონებში, მწვანე ზოლებსა და განსაკუთრებით პრესტიჟულ უბნებში (ფოტო 1, 2, 3), ახალი მშენებლობები გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის გარეშე იწყება, არავინ ზომავს ხმაურის, განიავების, გამწვანებისა და სხვა საკითხებს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სულ უფრო აქტუალური ხდება

საქალაქო ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი განვითარების ეკოლოგიური კონცეფციის შემუშავება, მით უფრო, როცა საუბარი ეხება მილიონიან ქალაქს, სადაც ეკოსისტემა კრიტიკულ მდგომარეობაშია.

დღეისათვის ეკოლოგიური გარემოს გაუარესებასთან დაკავშირებით დიდ ქალაქებში მეტად აქტუალურია შენობების დაპროექტებისა და აშენებისას გარემო ყოფითი პირობების გაუმჯობესების პრობლემა. თანამედროვე მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში, სადაც ადამიანი განსაკუთრებით მწვავედ შეიგრძნობს ბუნებისგან მოწყვეტას, რეკრეაციული სივრცის მოწყობა შესაძლებელია გამწვანების ელემენტებით, რაც შენობებში გააუმჯობესებს ეკოლოგიურ ფონს.



ა)




ბ)


**ფოტო 1. ქ. თბილისში სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია**  
 ა) XX საუკუნის 80-იან წლებში და ბ) ამჟამად



ა)



ბ)



**ფოტო 2. ყოფილი იპოდრომი ა) XX საუკუნის 80-იან წლებში და ბ) ამჟამად**



ფოტო 3. მშენებლობის ბუმი ყიფშიძის ქუჩაზე:  
ა) სელი მდ. ვერეს ხეობიდან; ბ) სელი ი. ჭავჭავაძის პროსპექტიდან

სახლებში უფრო კომფორტულად ცხოვრების მიზნით ჯერ კიდევ წინა ათასწლეულში ხალხი აშენებდა სახლებს სახურავზე მწვანე საფარით – ბალახოვანი მცენარეების სახით, რაც უზრუნველყოფდა სახლის მიკროკლიმატის დაცვას. ბაღები და პატარა დასასვენებელი გაზონური მოედნები შენდებოდა ასირიასა და ბაბილონში ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ. ყველაზე ნათელ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სემირამიდას დაკიდული ბაღები (ფოტო 4). თანდათანობით დაკიდული ბაღებისა და მწვანე ბურუსების გაშენება დაიწყო არა მარტო აზიაში, არამედ ევროპაშიც. სკანდინავიის ქვეყნებში, კერძოდ ნორვეგიაში, კორდების გამოყენებით ბურუსის დაფარვა პრაქტიკაშია უკვე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.



ფოტო 4. სემირამიდას დაკიდული ბაღები


გამწვანებულ გარემოს შეუძლია უზრუნველყოს ცხოვრების კომფორტული პირობები, რომელიც განაპირობებს როგორც ეკოლოგიური ხარისხის (ჰაერის გაჯანსაღება, ინდივიდუალური მიკროკლიმატის შექმნა), ასევე ადამიანის ფსიქოლოგიური და ემოციური რეაბილიტაციის შესაძლებლობების გაფართოებას.

ქალაქების ზრდასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდება არქიტექტურის კიდევ ერთი ასპექტი – შენობების “მეხუთე ფასადი”. დიდი ქალაქების სერიოზული

პრობლემა – თავისუფალი მიწების სიმცირე და მაღალი ღირებულება. სახურავების გამწვანება ეკონომიკური და ეკოლოგიური მხრივ განსაკუთრებით გამართლებულია.

1960 წელს გერმანელმა არქიტექტორებმა სარეკრეაციო ზონა შენობის სახურავზე განათავსეს და ამ სივრცეს „მწვანე სახურავი“ უწოდეს. რასაკვირველია, რომ მწვანე სახურავი ესთეტიკური და არქიტექტურული თვალსაზრისით მაღლა დგას ტრადიციულ სახურავებზე, რადგან როგორც წესი, ტრადიციულ სახურავებს არ აწყობენ ესთეტიკური მნიშვნელობით.

მსოფლიოს კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე განვითარებულ ქვეყნებს, ზოგადად ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებს თავის ეკოპროგრამაში ჩართული აქვთ სახურავების გამწვანება, განსაკუთრებით მეგაპოლისებში (ფოტო 5). მაგ. მწვანე სახურავები აქტიურად ვითარდება ისეთ ქალაქებში, როგორცაა კოპენჰაგენი, პარიზი, ლონდონი, ბერლინი, ნიუ-იორკი, ჩიკაგო და ა.შ., მრავალი მაგალითია აზიაშიც – ტაილანდში, ჩინეთში და სხვ.




ფოტო 5. მწვანე ბურულების მაგალითები სხვადასხვა ქვეყანაში

ცნობილია მწვანე ბურულების ძირითადი კონსტრუქციები და მრავალსახეობა. მწვანე ბურულები შედგება 6 ძირითადი ფენისაგან: 1. მცენარეული ფენა; 2. ნიადაგის სუბსტრატის; 3. გამფილტრავი ფენა; 4. სადრენაუო სისტემა; 5. ჰიდროიზოლაციის ფენა; 6. თბოიზოლაციის ფენა. ზოგიერთ შემთხვევაში კი ფენების შემადგენლობა ან მასალა შესაძლოა განსხვავდებოდეს (ფოტო 6).




ფოტო 6. მწვანე ბურულების შემადგენლობა – სხვადასხვა ვარიანტი

ექსპლუატირებული ბურულის შემთხვევაში ფენების რაოდენობა ტექნოლოგიურ გადაწყვეტასთან დამოკიდებულებაში მატულობს (ნახ. 1, 2).



ნახ. 1. ექსპლუატირებული ბურულის კონსტრუქცია გამწვანებით:

- 1 – გეოტექსტილი 350-400 გ/მ<sup>2</sup>; 2 – Planter life;
- 3 – გრუნტი; 4 – გამწვანება; 5 – გადახურვის ფილა;
- 6 – ორთქლიზოლაცია; 7 – მათბუნებელი; 8 – არმირებული ცემენტ-ქვიშის ქერქი;
- 9 – ბიტუმის პრაიმერი; 10 – ჰიდროზოლაციის ორი ფენა;
- 11 – პოლიეთილენის აფსკი; 12 – დრენაჟის კომპონენტი;
- 13 – არმირებული ცემენტ-ქვიშის ქერქი; 14 – ტროტუარის ან იატაკის ფილები



- ნახ. 2. მწვანე საფარის მიმხრობა კედელთან:
- 1 – გადახურვის ფილა; 2 – მსუბუქი ბეტონის ფენა;
- 3 – არმირებული ცემენტ-ქვიშის ქერქი; 4 – მოგრუნტვა მასტიკით (პრაიმერი);
- 5, 6 – ჰიდროსაიზოლაციო ორი ფენა;
- 7 – პოლიეთილენის აფსკი; 8 – გეოტექსტილი;
- 9 – ქაფპოლისტიროლი; 10 – სადრენაჟო მემბრანა;
- 11 – გრუნტი (მიწა); 12 – გეოტექსტილი;
- 13 – ხრეში ფრაქციით 20-40 მმ; 14 – ნაპირა ლითონის ლარტყა;
- 15 – ჰერმეტიკი; 16 – ბათქაშის ფენა

თანამედროვე მშენებლობაში ცნობილია მწვანე ბურულების 2 სახე: ექსტენსიური და ინტენსიური (ინვერსიული).

**ექსტენსიური მწვანე სახურავების** (ფოტო 8) გამოყენება პრაქტიკულად არაა გათვლილი ბურულებზე სასიარულოდ. ასეთ ბურულებზე სიარული შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში. ნიადაგის ფენის სისქე – არაუმეტეს 0,07–0,15 მ-ია, რაც საშუალებას იძლევა მასზე დარგულ იქნეს მხოლოდ მცირე ზომის მცენარეები. ასეთ სახურავებზე სპეციალურ ტევადობებში ან ქვეშებზე რგავენ მხოლოდ საგაზონე მცენარეებს ან ხავსს. მცენარეს უნდა ჰქონდეს ჰორიზონტალურ ფესვთა სისტემა. ექსტენსიური მწვანე საფარის დატვირთვა წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს 80-100 კგ/მ<sup>2</sup>-ს. მასზე ირგვება გვალვაგამძლე, მცირე ზომის, მაგრამ მრავალფეროვანი მცენარეები და ნიადაგიც გაჯერებულია საჭირო მინერალებით. მაგ. გერმანიაში მწვანე ბურულების 80% ექსტენსიურია, რადგან ექსტენსიურ მწვანე სახურავს უფრო ადვილად შესწევს ძალა დააბრუნოს ინვესტიცია, რომელიც მასში ჩაიღო და ასევე დიდი სარგებლობა მოუტანოს მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს როგორც ეკოლოგიურად, ასევე ნიაღვრებისაგან დაცვის მიზნით.



ფოტო 8. ექსტენსიური მწვანე სახურავები

**ინტენსიური (ინვერსიული) მწვანე სახურავი** – ეს კონსტრუქციაა, რომელიც შეიძლება ბურულზე მოვაწყოთ არა მარტო გაზონის, არამედ ხეებიანი, ბუჩქებიანი ბაღის სახით, შესაძლოა აუზით და შადრევნებითაც (ფოტო 9). ინტენსიურ მწვანე სახურავს უნდა ჰქონდეს პარაპეტი სიმაღლით არანაკლებ 1,2 მ-ისა, ხოლო ნიადაგის ფენის სიმაღლით კი – 0,2–0,6 მ-ისა.



ფოტო 9. ინტენსიური მწვანე სახურავები

ინტენსიური მწვანე საფარის სხვა ელემენტებისა (აუზები, შადრევნები, გრძელი სკამები, ხეები და ა.შ.) და გრუნტის სისქე მნიშვნელოვნად ზრდის შენობის სახურავის მზიდ ელემენტებზე დატვირთვას. ამიტომ ინტენსიური მწვანე საფარის კონსტრუქციას ითვალისწინებენ დაპროექტების სტადიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა ზედმიწევნით იქნეს გათვლილი მწვანე საფარისგან მიღებული დასაშვები დატვირთვა, რაც კი შეიძლება აიტანოს შენობის მზიდმა კონსტრუქციამ.

ქვემოთ მოყვანილია მწვანე ბურულის კონსტრუქციის შემადგენლობა:

**1. მცენარეული საფარის** შერჩევა ხორციელდება ინდივიდუალურად და დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, ბურულის ადგილმდებარეობაზე, ნიადაგის ფენის სისქეზე და დამკვეთის სურვილებზე. მცენარეული საფარისთვის ხშირად ირჩევენ ხავსს, გაზონის



ფოტო 10. მცენარეული ფენა

ბალახს (ფოტო 10), მინდურის ყვავილებსა და მთის მცენარეებს შენობის ადგილმდებარეობის კონკრეტული კლიმატური პირობებიდან გამომდინარე.

**2. ნიადაგის სუბსტრატი.** ნიადაგად გამოიყენებენ სუბსტრატს, რომელიც ბევრად მსუბუქია ჩვეულებრივ მიწაზე (მაგ. ტორფი და სხვ.), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბურულის ფუძეზე დატვირთვას. მწვანე საფარის შემსუბუქებული კონსტრუქცია განსაკუთრებით აქტუალურია ინტენსიური ტიპის მწვანე სახურავის მოწყობისას.

**3. მფილტრავი ფენა** ჩვეულებრივ შედგება გეოქსოვილისა და ფესვდამცავი აფსკისაგან. გეოქსოვილს გამოიყენებენ მფილტრავ ფენად გრუნტის ნაწილაკების დრენაჟში გაჭედვის თავიდან ასაცილებლად (ფოტო 11).



ფოტო 11. გეოქსოვილი

მწვანე ბურულისთვის იყენებენ თერმულად გამაგრებულ გეოქსოვილს, მისი კონსტრუქცია შესრულებულია ისე, რომ პრაქტიკულად არ იშლამება და გააჩნია მაქსიმალური ხანმდეგობა მოცემულ პირობებში ექსპლუატაციისას.

გეოქსოვილის შემდეგ ეწყობა ფესვდამცავი აფსკი (ფოტო 12), (სასურველია არანაქსოვი პოლიპროპილენის). ფესვდამცავ ფენად არაა რეკომენდებული ბეტონის ან ასფალტბეტონის ფენის გამოყენება.


**4. სადრენაჟო სისტემა** შეიძლება შესრულდეს რამდენიმე ვარიანტად:

- პერფორირებული დრენაჟის ფენა წყალსარინი მიღებით;
- პერფორირებული პოლისტიროლის ფილებით;
- ხრეში;
- გეოლებები – მართკუთხა ცხაურით (ფოტო 13).





ფოტო 12. ბურულზე მოწყობილი ფესვდამცავი აფსკი





ფოტო 13. გეოლეიბები (სადრენაჟო ფენა)

სადრენაჟო მიღებად გამოიყენება მაღალი წნევით დამზადებული მაღალი სიმტკიცის პერფორირებული პოლისტიროლის ან პოლიეთილენის მილები.

დრენაჟის მოწყობის დროს ითვალისწინებენ გრუნტის ფენის სიღრმეს და წლიური ნალექის რაოდენობას; გრუნტის ფენის სისქეს კი მცენარეული საფარის ფესვის ჩაღრმავებით საზღვრავენ; ექსტენსიური მწვანე სახურავების მოწყობის დროს ფესვის ჩაღრმავება არ აღემატება 20 სმ-ს, ამიტომ არ არის აუცილებელი დრმა დრენაჟი.


5. **ჰიდროსაიზოლაციო ფენა** – ასრულებს დამცავ ფუნქციას – არიდებს წყლისა და ტენის მოხვედრას ბურულის საფარის კონსტრუქციის გავლით შენობაში ან მის გარე კედლებზე. მწვანე ბურულის ჰიდროსაიზოლაციის მოწყობა ხდება სხვადასხვა სახის მემბრანის გამოყენებით, მაგ:

- პოლიმერული ჰიდროსაიზოლაციო მემბრანებით ბიტუმის ფუძეზე ფესვსაწინააღმდეგო დაცვით (ეკოლოგიური მასალა, ფოტო 14);



ფოტო 14. პოლიმერული ჰიდროსაიზოლაციო მემბრანა ბიტუმის ფუძეზე

- პოლიმერულით – სინთეტიკურ ფუძეზე ფესვსაწინააღმდეგო დაცვით (ექსპლუატაციის ვადა 60 წლამდე) (ფოტო 15);



ფოტო 15. პოლიმერული ჰიდროსაიზოლაციო მემბრანის მოწყობა სინთეტიკურ ფუძეზე

- ალუმინის ან სპილენძის კილიტის დამატებითი მემბრანით;
- თხევადი რეზინით.

როგორც წესი, ბრტყელ სახურავებზე ჰიდროიზოლაციას აწყობენ 3-5%-იანი ქანობით.


**6. თბოიზოლაციის ფენა.** რეკომენდებულია თბოსაიზოლაციო ფენა დამზადდეს მინა-ქაფით ან პერლიტის ქვიშით. მინა-ქაფი ტენს არ ატარებს, არ არის მცენარეთა და ნიადაგის მიკროფლორისთვის ტოქსიკური. ასევე დამატობლად გამოიყენებენ ექსტრუდირებულ ქაფპოლისტიროლის ფილებს და მინერალურ ბამბას. ნაწილობრივ, შესასრულებელ სამუშაოთა გასამარტივებლად ნიადაგს ყრიან მცირე ზომის პლასტიკატის ყუთებში (მაგ. 0.5×0.5მ), რომლებიც ეწყობა ქვეშებზე (ფოტო 16).



ფოტო 16. პლასტიკატის ყუთები ნიადაგისათვის და ყუთების მოწყობა ქვეშებზე

ინტენსიური მწვანე ბურულის კონსტრუქცია ექსტენსიურისგან განსხვავდება ნიადაგის ფენის სისქითა და დამატობლის განთავსებით – იგი განთავსდება არა ჰიდროიზოლაციის ქვეშ, არამედ ზევიდან, რაც დაიცავს მას მექანიკური დაზიანებისგან.

ფოტო 17-ზე წარმოდგენილია გრაფიკი, რომლითაც განისაზღვრება სახურავზე დატვირთვის სიდიდის დამოკიდებულება ნიადაგის ფენის სისქესთან.



ფოტო 17. სახურავზე დატვირთვის სიდიდის დამოკიდებულება მწვანე ბურულების ნიადაგის ფენის სისქესა და მცენარეთა მრავალფეროვნებასთან

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ორი სახის მწვანე ბურულის შედარებითი მახასიათებლები.

ამ ცხრილიდან ჩანს ექსტენსიური ბურულის ძირითადი უპირატესობები ინტენსიურთან შედარებით:

- შედარებით დაბალი ფასი;
- ბურულის მზიდ ელემენტებზე ნაკლები დატვირთვა;
- მარტივი შენახვა და მოვლა.

<b>ექსტენსიური გამწვანება</b>	<b>ინტენსიური გამწვანება</b>
არ ითვალისწინებს ბურულზე ხალხის მუდმივ ყოფნას.	საშუალებას იძლევა ბურულზე შეიქმნას სრულფასოვანი ბაღი, სადაც შესაძლებელი იქნება ადამიანების მოძრაობა
მცენარეთა ერთგვაროვნობა	ბუნქოვანი მცენარეებისა და ხეების განუსაზღვრელი მრავალფეროვნება
არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას და ხშირ მორწყვას	საჭიროებს, როგორც სრულყოფილი ბაღის, მოვლას.
არ საჭიროებს ხშირ ტექნიკურ მომსახურებას	მოითხოვს მაღალი დონის ტექნიკურ მომსახურებას.
მწვანე საფარის მოწყობა შესაძლებელია სხვადასხვა ქანობის სახურავზე	საშუალებას იძლევა სახურავზე განთავსდეს ყვავილნარი, ბუჩქები, დასვენების ზონები, ტალავერები, აუზები
მცირე მასა	საშუალო და დიდი მასა
არსებულ შენობებზე მისაღები გადაწყვეტა	მუშავდება შენობის დაპროექტების ეტაპზე
სიახლე, ეკონომიური ვარიანტი	მაღალი ღირებულების ვარიანტი


### **დასკვნა**

მწვანე ბურულის მოწყობის დადებითი მხარეები – ეკოლოგიური, ეკონომიური, ფსიქოლოგიური, ბიზნესის, უსაფრთხოებისა და ესთეტიურობის მხრივ:

The problem of stability of rectangular plates with rectangular holes firstly was stated by P.M. Varvak [8] and then was studied in the works of G.N. Savin, L.M. Kurshin, M.I. Plugan, I.M. Tsirlov, I.Yu. Kolesnikov, V.I. Korolev.

In the works of B.K. Mikhailov and G. Kipiani [9] new method of analysis of bending plates and shells with cuts, in parallel to sides of rectangular plane is developed. Taking into account the cuts in the differential geometrical relations, the discontinuous functions with coefficients, determined from condition of equality to zero of moment and shear force on edge of cut, are introduced. The solution of equation is presented as expansion on discontinuous function that gives the rather rapid convergence and simple formulae.

### BASIC PART

Let us consider the rectangular plate compressed in one direction by loading distributed on two opposite edges and having a cut on perpendicular to direction of compression (Fig. 1).



**Fig. 1. Plate with cut at action of uniformly distributed loading**

Then accordingly of [9] let us represent the deflection and angles of rotation as

$$\begin{aligned} \omega^* &= \omega + \Delta\omega 1_x 1_{yy}; \\ \gamma_1^* &= \gamma_1 + \Delta\gamma_1 1_x 1_{yy} = \Delta\omega \delta_x 1_{yy}; \\ \gamma_2^* &= \gamma_2 + \Delta\gamma_2 1_x 1_{yy}, \end{aligned} \tag{1}$$

where  $\Delta\omega$  – is the divergence of cut's edges;  $\Delta\gamma_1, \Delta\gamma_2$  – the angle of break of medial surface of cut accordingly in direction of axis's  $x$  and  $y$ ;  $1_x = 1(x - x_1)$  – the unit function from coordinate  $x$ ;  $1_{yy} = 1(y - y_1) - 1(y - y_2)$  – the function, composed from unit functions on coordinate  $y$ ;  $\delta_x = f(x - x_1)$  – the delta function.

Due introduction of expression (1) by relations of elasticity

$$\begin{aligned} M_1^* &= D \left( \omega_x^{*''} + \mu \omega_y^{*''} \right); \\ M_2^* &= D \left( \omega_y^{*''} + \mu \omega_x^{*''} \right); \\ M^* &= D(1 - \mu) \frac{1}{2} \left( \omega_x^{*''} + \mu \omega_y^{*''} \right), \end{aligned} \tag{2}$$

in the differential equations of equilibrium of plate's element related to bending moments

$$\frac{\partial^2 M_1^*}{\partial x^2} + 2 \frac{\partial^2 M^*}{\partial x \partial y} + \frac{\partial^2 M_2^*}{\partial y^2} = P, \tag{3}$$

obtain the equilibrium equation related to deflection function

$$\Delta^2 \varphi = - \left[ (\Delta \omega \delta_x'' + 2\Delta \omega'' \delta_x' + \Delta \omega_y'' 1_x + \Delta \gamma_1 \delta_x'' + \Delta \gamma_y'' \delta_y) \right]_{1_{yy}} + 2\Delta \omega_y'' 1_x \delta_{yy} + \Delta \omega_y'' \delta_{yy}' 1_x + \Delta \gamma_y'' \delta_{yy} \delta_x' \Big] + \frac{P}{D}, \quad (4)$$

where  $\delta_x', \delta_x''$  – are the derivatives from delta functions on  $x$ ;  $\delta_{yy} = \delta(y - y_1) - \delta(y - y_2)$ ;  $\delta_{yy}' = \delta'(y - y_1) - \delta'(y - y_2)$  – are the combinations from delta functions and its derivatives on variable  $y$ .

At generations of equation (4) and processes of functions  $\Delta \omega 1_x 1_{yy}$ ,  $\Delta \gamma_1 1_x 1_{yy}$ ,  $\Delta \gamma_2 1_x 1_{yy}$  differentiation, let's apply the relations

$$\begin{aligned} (\Delta \omega 1_x 1_{yy})_y' &= (\Delta \omega' 1_{yy} + \Delta \omega \delta_{yy}') 1_x = \Delta \omega_y' 1_{yy} 1_x; \\ (\Delta \omega 1_x 1_{yy})_y'' &= (\Delta \omega_y'' 1_{yy} + \Delta \omega_y' \delta_{yy}') 1_x = \Delta \omega_y'' 1_{yy} 1_x; \\ (\Delta \gamma_1 1_x 1_{yy})_y' &= (\Delta \gamma_{1y}' 1_{yy} + \Delta \gamma_{1y} \delta_{yy}') 1_x = \Delta \gamma_{1y}' 1_{yy} 1_x; \\ (\Delta \gamma_2 1_x 1_{yy})_y' &= (\Delta \gamma_{2y}' 1_{yy} + \Delta \gamma_{2y} \delta_{yy}') 1_x = \Delta \gamma_{2y}' 1_{yy} 1_x. \end{aligned} \quad (5)$$

This follows from that values  $\Delta \omega$ ,  $\Delta \gamma_1$ ,  $\Delta \gamma_2$  are the smooth, regular functions of  $y$  and therefore, equal to zero at  $y = y_1$  and  $y = y_2$ , because on the edges of cut would not be the step-wise change of deflection or angle of rotation, in contrary occurs the breaks and discontinuities along the whole cut.

Furthermore, the above mentioned in the equation (4) are accepted the notifications:  $\Delta^2$  – is the double Laplace operator;  $D = \frac{Eh^3}{12(1 - \mu^2)}$  – the cylindrical stiffness;  $p$  – is the function of external loading.

Let's substitute in equation (4) the function of external loading by summand of external forces projections, acting on plane, tangent to deformed surface, as result of its buckling on normal, we will obtain in general case the equation of stability

$$p = - \left( T_1 \frac{\partial^2 \omega''}{\partial x^2} + 2S \frac{\partial^2 \omega''}{\partial x \partial y} + T_2 \frac{\partial^2 \omega''}{\partial y^2} \right), \quad (6)$$

on the other hand, the equation of critical state. In the considered case, accordingly of Fig. 1. would be assumed  $S = T_2 = 0$ .


Then we have

$$\Delta^2 \omega = - \left[ (\Delta \omega \delta_x''' + 2\Delta \omega_y'' \delta_x' + \Delta \omega_y'' 1_x + \Delta \gamma_1 \delta_x'' + \Delta \gamma_y'' \delta_x) \right]_{1_{yy}} + 2\Delta \omega_y'' 1_x \delta_{yy} + \Delta \omega_y'' \delta_{yy}' 1_x + \Delta \gamma_y'' \delta_{yy} \delta_x' \Big] - \frac{T}{D} (\omega_x'' + \Delta \gamma \delta_x + \Delta \omega \delta_x')_{1_{yy}}. \quad (7)$$

This equation includes as coefficients the delta functions and their derivatives and would be integrated by method, stated in the work [9], i.e. by expression of desired solution as expansion on regular and special selected with discontinuous functions with several desired coefficients. this method gives the possibility to obtain practically similar convergence for moments and share forces in the regular domain, as well as in adjacent of cuts, including adjacent of cuts ends, and therefore, to determine the concentration of internal forces at keeping the small number of terms of expansion in series.

However, at determination of critical loading is not necessary to find the concentration of forces in small areas, as the critical loading at buckling of whole plate or whole structure represents the some integral characteristic, i.e. is less sensitive to local disturbances of mode of deformation and is mainly determined by character of disturbances distribution that represents the rather smooth functions, at least in intervals between cuts. From this would be expected of obtaining of quite satisfactory convergence process at determination of critical loading even at approximation of desired values by quite regular functions, for example trigonometric functions.





$$\Delta\omega = f_1(y') = \Delta\omega_1 \sin \frac{\pi}{b'} y',$$

$$\Delta\gamma_1 = f_2(y') = \Delta\gamma_{1(i)} \sin \frac{\pi}{b'} y',$$

$$\Delta\gamma_2 = f_3(y') = \Delta\gamma_{2(i)} \sin \frac{2\pi}{b'} y'$$

Fig. 2. Plate with cut

Let us express the deflection function by double series

$$\omega = \sum_k \sum_\ell \omega_{k\ell} \sin \alpha_k x \cdot \sin \beta_\ell y. \quad (8)$$

The functions of mutual angles of rotation  $\Delta\gamma_{1i}$ ;  $\Delta\gamma_{2j}$  and functions of edges divergence  $\Delta\omega_i$ ;  $\Delta\omega_j$  represents the functions of one coordinate, thus let's express them as ordinary series

$$\Delta\gamma_{1i} = \sum_k \Delta\gamma_{1ik} \sin \alpha_k x;$$

$$\Delta\omega_i = \sum_k \Delta\omega_{ik} \sin \alpha_k x;$$

$$\Delta\gamma_{2j} = \sum_\ell \Delta\gamma_{2j\ell} \sin \beta_\ell y;$$

$$\Delta\omega_j = \sum_\ell \Delta\omega_{j\ell} \sin \beta_\ell y. \quad (9)$$

Let us assume that plate undergoes the compression only in the  $x$  direction. Then, by introducing of (5) and (6) in the expression (4) and apply the Bubnov-Galerkin procedure for  $\ell$  term of expansion in series of external loading, we will obtain

$$\begin{aligned} (\alpha_k^2 + \beta_\ell^2)^2 \omega_{k\ell} = & - \sum_{i=1}^m \sum_k \sum_\ell [\omega_{i\ell} (\alpha_{ik}'' - 2\beta_\ell^2 \alpha_{ik}' + \beta_\ell^4 a_{ik}^0) \beta_{i\ell}^0 + \\ & + \Delta\gamma_{1i} (a_{ik}'' - \beta_{i1}^2 a_{ik}) \beta_{i\ell}^0 - 2\Delta\omega_{i\ell} \beta_\ell^2 a_{ik} \beta_{i\ell} - \Delta\omega_{i\ell} \beta_\ell^2 a_{ik}^0 \beta_{i\ell}^0 + \Delta\gamma_{1i\ell} \beta_\ell a_{ik} \beta_{i\ell}] - \\ & - \sum_{j=1}^m \sum_k \sum_\ell [\omega_{jk} (\beta_{j\ell}'' \alpha_{ik}'' - 2\alpha_k^2 b_{j\ell}^1 + \alpha_k'' b_{j\ell}^0) \bar{a}_{jk}^0 + \Delta\gamma_{2jk} (\beta_{j\ell}'' - \alpha_k^2 \beta_{j\ell}) \bar{a}_{jk}^0 - \\ & - 2\Delta\omega_{jk} \alpha_k^3 b_{j\ell}^0 \bar{a}_{jk} - \Delta\omega_{jk} a_k^2 \bar{b}_{j\ell}^0 \bar{a}_{jk} + \Delta\gamma_{2jk} (\beta_{j\ell}'' - \alpha_k^2 \beta_{j\ell}) \bar{a}_{jk}^0 - \\ & - \frac{T}{D} \left[ -\alpha_\ell^2 + \sum_{j=1}^m \sum_k \sum_\ell (\Delta\gamma_{1i\ell} a_{ik} + \Delta\omega_{i\ell} a_{ik}') b_{i\ell}^0 \right]. \end{aligned} \quad (10)$$

The entering in this equation coefficients  $\Delta\omega_{il}$ ;  $\Delta\omega_{jl}$ ;  $\Delta\gamma_{1il}$ ;  $\Delta\gamma_{2ik}$ ; will be found from conditions of equality to zero of moments and shear forces on lines of cuts, i.e.

$$\begin{aligned} M_1 = Q_1 + \frac{\partial H}{\partial y} = 0 \quad \text{at } x = x_i; \quad y_1 < y < y_{2i} \\ M_2 = Q_2 + \frac{\partial H}{\partial x} = 0 \quad \text{at } y = y_i; \quad x_{1j} < x < x_{2j} \end{aligned} \quad (11)$$

Due to the introduction in these expressions of desired functions of deflection by formulae (7), (8), we will obtain simultaneous homogeneous equations. Such system, as it is known, has non-trivial solution, if its determinant is equal to zero. The condition of equality to zero of determinant of simultaneous equations (10) and (11) gives the equation for determination of critical loading  $T_{cr}$ .

Let's consider several examples. Let's assume that plate has one symmetrically arranged related to neutral axis cut, in parallel to  $y$  axis (Fig. 1). Then, keeping in expansion of desired function the one first term, we obtain the following simultaneous equations (in the first approximation)

$$\begin{aligned} (\alpha_1^2 - \beta_1^2)^2 \omega_{11} = -\gamma_{11} (\alpha_1'' - \beta_1^2 a_1) b_1^0 - \Delta\gamma_{1(1)} \beta_1 b_1 a_1 - \frac{T}{D} (\Delta\gamma_{1(1)} a_1 b_1^0 + \alpha_1^2 \omega_{11}) \\ - (\alpha_1^2 + \mu\beta_1^2) \omega_{11} + \Delta\gamma_{1(1)} a_1 b_1^0 = 0 \end{aligned} \quad (12)$$

hence, we have

$$T_{cr} = T_{cr}^0 (1 - k), \quad (13)$$

where

$$k = \frac{(\alpha_1^2 + \mu\beta_1^2)(\alpha_1^2 + \beta_1^2) - \alpha_1^2 \frac{(\alpha_1^2 + \mu\beta_1^2)}{a_1 b_1^0} 2[(\alpha_1'' - \beta_1^2 a_1) b_1 + \beta_1 b_1 a]}{(2\alpha_1^2 + \mu\beta_1^2)(\alpha_1^2 + \beta_1^2)^2}.$$

where

$$\begin{aligned} a_1 = \frac{a}{2} \int_0^a \beta_x \sin^2 \alpha_1 x dx; \quad a_1'' = \frac{a}{2} \int_0^a \beta_x' \sin \alpha_1 x dx; \quad b_1^0 = \frac{b}{2} \int_0^b 1_{yy} \sin^2 \beta_1 y dy; \\ b_1 = \frac{b}{2} \int_0^b \delta_{yy} \sin \beta_1 y \cos \beta_1 y dy; \quad \alpha_1 = \frac{\pi}{a}; \quad \beta_1 = \frac{\pi}{b} \end{aligned}$$

For square plate with dimensions  $a = b = 300$  cm,  $h = 3$  cm and cut, equal to 100 cm, formula (13) gives the value of critical stress

$$\sigma_{cr} = \frac{T}{n} = 30.4 \text{ MPa}.$$

Accordingly, the value for continuous plate will be

$$\sigma = \frac{D (\alpha_1^2 + \beta_1^2)}{h \alpha_1^2} = 75.8 \text{ MPa}.$$

At consideration of successive approximations, values of critical stress are changed in direction of increasing. By keeping in expansion in the series of function  $\omega$  two, three and more approximations, we obtain the value of critical stress on second, third and so on approximations. For example, in the second approximation the boundary condition would be written down as [10]:

$$-(\alpha_1^2 + \mu\beta_1^2) \omega_{11} \sin \alpha_1 x \sin \beta_1 y - (\alpha_2^2 + \mu\beta_2^2) \omega_{21} \sin \alpha_2 x_1 \sin \beta_1 y = 0,$$

in the third approximation

$$-(\alpha_1^2 + \mu\beta_1^2)\omega_{11} \sin \alpha_1 x_1 \sin \beta_1 y - (\alpha_2^2 + \mu\beta_1^2)\omega_{21} \sin \alpha_2 x_1 \sin \beta_1 y - (\alpha_4^2 + \mu\beta_1^2)\omega_{41} \sin \alpha_4 x_1 \sin \beta_1 y,$$

where

$$\omega_{11} = \frac{(\alpha_1'' + \beta_1^2 a_1) b_1^0 + \frac{T}{D} a_1 b_1^0}{\frac{T}{D} \alpha_1^2 - (\alpha_1^2 + \beta_1^2)^2}; \quad \omega_{41} = \frac{(\alpha_4'' + \beta_1^2 a_4) b_1^0 + \frac{T}{D} a_4 b_1^0}{\frac{T}{D} \alpha_4^2 - (\alpha_4^2 + \beta_1^2)^2};$$


$$\omega_{21} = \frac{(\alpha_2'' + \beta_1^2 a_1) b_1^0 + \frac{T}{D} a_2 b_1^0}{\frac{T}{D} \alpha_2^2 - (\alpha_2^2 + \beta_1^2)^2}; \quad \alpha_2 = \frac{2\pi}{d}; \quad \alpha_1 = \frac{4\pi}{d}.$$

If in the function of angle of rotation  $\Delta\gamma_{ii} = \sum_k \Delta\gamma_{1ik} \sin \alpha_k x$  expand in the series on coordinate  $y$  on interval  $y_1 < y < y_2$ , then would be expected more rapid convergence of critical loading more precise definition process. Indeed, then in the second approximation  $\sigma_{cr} = 51.5$  MPa, in the third approximation  $\sigma_{cr} = 58.3$  MPa, The ninth and tenth approximations gives the values of critical loading accordingly 70 MPa and 70.3 MPa.

The further more precise definition would be terminated, because the divergence between approximations makes up 0.5%.

Thus, the critical stress for plate with cut is equal to 70.4 MPa that makes up 93% from critical stress of continuous plate.

As the second case, let's consider same square plate, having the four mutual perpendicular symmetrically arranged cuts, creating the closed square contour. Such cuts simulate the square hole (Fig. 2). The stated problem would be simplified if we assume  $\Delta\omega_{i\ell} = \Delta\omega_{ik} = 0$ , i.e. if assume that edges of cuts practically are not divergence at compression. As it is shown the experimental observations, this actually takes place, because are not the forces, applied in perpendicular to plane of plate and causing various on magnitude intense deflections of bank of cuts.



**Fig. 3. Plate with hole at action of uniformly distributed loading**

Due set the desired functions as

$$\begin{aligned} \omega &= \omega_{11} \sin \alpha_1 x \sin \beta_1 y; \\ \Delta\gamma_{1(1)} &= \Delta\gamma_{1(2)} = \Delta\gamma_{1(t)} \sin \beta_1 y; \\ \Delta\gamma_{2(1)} &= \Delta\gamma_{2(2)} = \Delta\gamma_{2(t)} \sin \alpha_1 x. \end{aligned} \tag{14}$$

and taking into account the symmetry  $\Delta\gamma_{1(1)} = \Delta\gamma_{2(1)}$ , let's write down the decisive simultaneous equations (10) and (11) as

$$\begin{aligned} (\alpha_1^2 + \beta_1^2)^2 \omega_{11} = & -2\Delta\gamma_{1(i)}(a_1'' + \beta_1^2 a_1) b_1^0 - 2\Delta\gamma_{1(i)} b_1 a_1 - 2\Delta\gamma_{2(i)}(b_1'' + \alpha_1^2 b_1) a_1^0 - \\ & - 2\Delta\gamma_{2(i)} \alpha_1 b_1 + \frac{T}{D} \alpha_1^2 \omega_{11} + 2 \frac{T}{D} \Delta\gamma_{1(i)} a_1 b_1^0; \\ -(\alpha_1^2 + \mu\beta_1^2) \omega_{11} + \Delta\gamma_{1(i)} a_1 b_1^0 = & 0; \\ (\alpha_1^2 + \mu\beta_1^2) \omega_{11} + \Delta\gamma_{2(i)} a_1 b_1^0 = & 0. \end{aligned} \quad (15)$$

Hence, we have

$$\begin{aligned} T_{cr} = & \left\{ (\alpha_1^2 + \beta_1^2)^2 + \frac{\alpha_1^2 + \mu\beta_1^2}{a_1 b_1^0} 2[(\alpha_1'' - \beta_1^2 a_1) b_1^0 + \beta_1 b_1 a_1] \right\} + \\ & + \alpha_1^2 \frac{\alpha_1^2 + \mu\beta_1^2}{b_1 a_1^0} 2[(b_1'' - \alpha_1^2 b_1) a_1^0 + \alpha_1 a_1 b_1] \left\{ 3\alpha_1^2 + 2\mu\beta_1^2 \right\}^{-1} \end{aligned}$$

The critical stress at above mentioned dimensions and length of each cut equal to 1/3 from width of plate, would be

$$\sigma_{cr} = \frac{T}{h} = 25.6 \text{ MPa}.$$

In the second approximation  $\sigma_{cr} = 37.9$  MPa and in the third  $\sigma_{cr} = 45.1$  MPa, in the ninth approximation  $\sigma_{cr} = 56.4$  MPa, in the tenth  $\sigma_{cr} = 56.8$  MPa.

Thus, the critical stress for plate with hole would be equal to  $\sigma_{cr} = 56.8$  MPa that makes up to 75% from critical stress of continuous plate.

## CONCLUSIONS

Are generated and studies the simultaneous differential equations that give the possibility on the unified basis in the condition of non-linear deformation to study stability for large class of having edges, cuts and concentrated supports plates. Various simplified variants of these equations are generated. The design modes express elements of construction structure as well as elements of used in aircraft, chemical, and instrument making engineering and in other fields of engineering structures.

## References

1. **Volmer A.C.** Stability of deformed systems. Moscow: Nauka, 1967, 984 p. (In Russian);
2. **Guz. A.H. et al.** Methods of shells analysis. Theory of thin shells weakened by holes. Under general editorship of Acad. Guz. Kiev: Naukova Dumka, 1980. (In Russian);
3. **Grigoliuk E.I., Kulikov N.A.** Stability of plates with holes. //Reports of Academy of Sciences of USSR, 1975, 224, № 4, pp. 790-793. (In Russian);
4. **Savin G.N.** Stress concentration hear holes. Kiev: Naukova Dumka, 1968, 887 p. (In Russian);
5. **Kurshin L.M., Matveev K.A.** To solution of problem of stability of plates with holes. //Dynamics and strength of structures, 1975, № 2, pp. 3-19. (In Russian);
6. **Preobrazhenski I.N.** Stability and oscillations of plates and shells with holes. Moscow: Mashinostroenie, 191 p. (In Russian);
7. **Mikhailov B.K.** Plates and shells with discontinuous parameters. Leningrad: Publishing LGU, 1980, 196 p. (In Russian);
8. **Varvak P.M.** Stability of square plate. //Transactions of KISI, 1945, № 7, pp. 21-28. (In Russian);
9. **Mikhailov B.K., Kipiani G.O.** Deformability and stability of spatial plate systems with discontinuous parameters. Saint Petersburg: Stroizdat SPB, 1996. 442 p. (In Russian);

10. **Kipiani Gela.** Definition of critical loading on three-layered plate with cuts by transition from static problem to stability problem. //Contemporary Problems in Architecture and Construction. Selected, peer reviewed papers the 6<sup>th</sup> International Conference on Contemporary Problems of Architecture and Construction, June 24-27, 2014, Ostrava, Czech Republic. Edited by Darja Kubeckova. Trans. Tech. publications LTD, Switzerland, 2014, pp. 143-150.

მშენებლობა და არქიტექტურა

**წყვეტილპარამეტრიანი ფირფიტების მდგრადობა**

**გ. ყიფიანი,<sup>1</sup> ვ. მიქაძე,<sup>1</sup> ლ. ნიკოლაიშვილი <sup>2</sup>**

<sup>1</sup> საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი  
ქეთევან წამებულის ქ. 16, ქ. თბილისი, 0144, საქართველო  
**E-mail: gelakip@gmail.com , vmikadze@mail.ru**

<sup>2</sup> საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მ. კოსტავას ქ. 77, ქ. თბილისი, 0175, საქართველო

**ანოტაცია.** წიბოების და ტეხვების მქონე ფირფიტების გაანგარიშებისათვის მიღებულია საანგარიშო ფორმულები, რომლებიც საშუალებას იძლევა აღიწეროს მდგრადობის კომპონენტების ცვლადების ყველა განსაკუთრებულობა რეგულარობის დარღვევის მიახლოებაში, აისახოს დატვირთვის პროცესში ძაღვებისა და მომენტების ცვლილებები და გადანაწილებები. ამოხსნილია ჭრილებისა და წიბოების მქონე ფირფიტების მდგრადობაზე გაანგარიშების ახალი ამოცანები, კიდეების ჩამაგრების სხვადასხვა სახის და სხვადასხვა კონტურული დატვირთვის პირობებში..

**საკვანძო სიტყვები:** წყვეტილპარამეტრიანი ფირფიტა; ჭრილი; წიბო; მდგრადობა; განტოლებები.

Строительство и архитектура

**УСТОЙЧИВОСТЬ ПЛАСТИН С РАЗРЫВНЫМИ ПАРАМЕТРАМИ**

**Г. Кипиани, В. Микадзе, Л. Николаишвили**

<sup>1</sup> Грузинский авиационный университет  
ул. Кетеван Цамебули 16, г. Тбилиси, 0144, Грузия  
**E-mail: gelakip@gmail.com , vmikadze@mail.ru**

<sup>2</sup> Грузинский технический университет  
ул. М.Костава 77, 0175, г. Тбилиси, Грузия

**Аннотация.** Для расчёта имеющих рёбра и изломы пластинок получены расчётные формулы, которые дают возможность описать все особенности переменных компонентов устойчивости вблизи от нарушения регулярности, отразить изменения и перераспределения усилий и моментов в процессе нагружения. Решены новые задачи расчёта на устойчивость пластинок с разрезами и рёбрами для различного рода закрепления кромок и в условиях различных контурных нагрузок.

**Ключевые слова:** пластины с разрывными параметрами; разрез; кромка; устойчивость; уравнения.

**ბორჯომის ხეობაში 2008 წელს განხორციელებული ეკოციდის შედეგად  
ფორმირებული ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების შეფასება  
და პრობნოზირება\***

გ.გ. ჩახაია, ზ.ნ. ვარაზაშვილი, ლ.ნ. წულუკიძე, რ.გ. დიაკონიძე,  
ი.გ. ხუბულავა, თ.ლ. სუბატაშვილი, გ.გ. ომსარაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მუშრნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0162 ქ. თბილისი, საქართველო  
**E-mail: gogachaxia@mail.ru**

**ანოტაცია.** ბორჯომის ხეობაში განხორციელებული საველე-სარეკონოსცირებო კვლევების საფუძველზე დაფიქსირდა სოფ. დაბასთან ნაღვარევის დელეში ეკოციდის (ხანძრის) ნეგატიური შედეგებით პროვოცირებული ღვარცოფული მოვლენები. სოფლი-ოში აპრობირებული მეთოდოლოგიების გამოყენებით დადგენილია, ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლები და გაკეთებულია პროგნოზი ბორჯომის ხეობაში (ნაღვარევის დელეს წყალშემკრები აუზი) მიმდინარე გეოდინამიკური პროცესების რისკების შესაფასებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ეროზია; მოწყვლადობა; ღვარცოფი.

**შესავალი**

ცნობილია, რომ 2008 წლის აგვისტოში, ბორჯომის ხეობაში, რუსეთის მიერ განხორციელებული ეკოციდის შედეგად წარმოშობილი ხანძრისაგან განადგურდა კურორტ ბორჯომის, კასპის რაიონის სოფელ ხანდაკის, სურამის, კიკეთის, ხაიშის, ატენის, ხარაგაულის ეროვნული პარკის და ცენტრალური ავტომაგისტრალის მიმდებარე ტყის მასივები.


ზემოთ აღნიშნული ნახანძრალი ტერიტორიებიდან ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ბორჯომის ხეობა, რადგან სტიქიის შედეგად განადგურებულმა ტყის ფართობმა მარტო ამ რაიონში 950 ჰექტარს მიაღწია (სულ საქართველოს მასშტაბით განადგურდა 1100 ჰექტარი ტყის მასივი) და სასიცოცხლო ფუნქცია შეუწყდა 290 000 მ<sup>3</sup> ხე-ტყეს. ხანძრის შედეგად მთის ფერდობებზე მთლიანად განადგურდა მცენარეული საფარი, რის გამოც გააქტიურდა ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენები, წარმოიქმნა ახალი მოწყვლადი უბნები [5, 6, 7].

მიმდინარე პროცესებმა, თავისთავად, ხელი შეუწყვეს ეკოლოგიური რისკების ამადლებას, რის შედეგადაც საკურორტო ზონებში, რომლის სტატუსსაც ზემოთ ხსენებული თითქმის ყველა რეგიონი ფლობს, შემცირდა ტურისტებისა და დამსვენებლების ნაკადი, რაც ნეგატიურად აისახა ამ დარგის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და, შესაბამისად, რეგიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

\* პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (გრანტი №30/01) ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოქვეყნებული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინტერესებს.

**პირველი ნაწილი**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბორჯომის ხეობაში ნახანძრავი მთის ფერდობების მოწყვლადობის შესაფასებლად, ჩვენ მიერ მდ. გუჯარულას მარჯვენა შენაკადში, ნაღვარევის დელეში (სოფ. დაბასთან) განხორციელდა საველე-სარეკოგნოსცირობო სამუშაოები, რომლის შედეგად გამოვლენილ იქნა ეროზიული გენეზისის აქტიური დვარცოფული მოვლენები (სურ. 1, 2), რის გამოც სოფ. დაბის მოსახლეობა მაღალი რისკის ქვეშ არის მოქცეული.



**სურ. 1. ნაღვარევის დელეს წყალშემკრები აუზის აეროფოტო**



**სურ. 2. ნაღვარევის დელეს კალაპოტში გაჩერებული დვარცოფის საერთო ხედი**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაღვარევის დელეში ხანძრის შედეგად პროვოცირებული ეროზიულ-დვარცოფული მოვლენების შეფასება და პროგნოზირება მეტად პრიორიტეტული საკითხია.

ნაღვარევის დელეს წყალშემკრები აუზში ჩატარებული საველე-სარეკოგნოსცირობო სამუშაოების შედეგების, აეროფოტო მასალის და პროფესორ გივი გაგარდაშვილის მიერ მიღებული ემპირიული დამოკიდებულებების გამოყენებით გაანგარიშებულ იქნა, ნაღვარევის დელეს წყალშემკრები აუზის მოწყვლადი ფერდობების ეროზიის კოეფიციენტი [1÷3]. ინგლისელი მეცნიერის, პროფესორ რ. მორგანის შკალის მიხედვით დადგენილია მთის ეროზირებული ფერდობების დაზიანების ხარისხი და რაოდენობრივი მახასიათებლები [4].

შემოთავაზებულ ეროზიის კოეფიციენტის საანგარიშო ემპირიულ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე [5]:

$$E = [0,58 + 1,40(F_1/F_0)](t/T)^{0,21}, \tag{1}$$

სადაც:  $F_1$  მდინარის წყალშემკრები აუზში გაშიშვლებული ტერიტორიის ფართობია ( $კმ^2$ );

$F_0$  – მდინარის წყალშემკრები აუზის მთლიანი ფართობი ( $კმ^2$ );

$t$  – საკვლევი წლის პერიოდი (წელი);

$T$  – დაკვირვების საერთო პერიოდი (წელი).

ჩატარებული გამოთვლების შედეგად მიღებული სიდიდეები მოცემულია ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1

ნაღვარევის დელეს აუზში მთის ფერდობების ეროზიის კოეფიციენტის მნიშვნელობები

№	მდინარის დასახელება	წყალშემკრები აუზის ფართობი		ეროზიის კოეფიციენტის (E) მნიშვნელობები წლების მიხედვით					ეროზიის კლასი	ეროზიის ინტენსივობა წელიწადში (ტ/ჰა)
		მთლიანი, F <sub>0</sub> (კმ <sup>2</sup> )	ეროზირებული, F <sub>1</sub> (კმ <sup>2</sup> )			2010	2015	2020		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ნაღვარევის დელე	6,44	0,68	0,39	0,54	0,63	0,68	0,73	მესამე	5-10

აგრეთვე გაანგარიშებულ იქნა ნაღვარევის დელეს წყალშემკრებ აუზში მოსალოდნელი დვარცოფული ნაკადების სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯები, რომელთა საანგარიშო დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე [1, 2]:

$$Q_{max} = A(34 + 400i) \cdot F_0^{0,61} \text{ (მ}^3\text{/წმ)}, \quad (2)$$

სადაც: *i* შენაკადის საშუალო ქანობია;

F<sub>0</sub> – მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი (კმ<sup>2</sup>);

A – ხარჯის კოეფიციენტი, რომლის კავშირი უზრუნველყოფის კოეფიციენტთან (P%) მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

ხარჯისა (A) და უზრუნველყოფის კოეფიციენტების (P%) დამოკიდებულება

(P%)–უზრუნველყოფის კოეფიციენტი	0,1	1	3	5	10	25	50
A – ხარჯის კოეფიციენტი	2,4	1	0,7	0,6	0,5	0,3	0,2

ანგარიშის შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

ნაღვარევის დელეს წყალშემკრებ აუზში დვარცოფის სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯის მნიშვნელობები

№	შენაკადის დასახელება	წყალშემკრები აუზის ფართობი, F <sub>0</sub> (კმ <sup>2</sup> )	შენაკადის სიმაღლე ზღვის დონიდან, H (მ)		შენაკადის სიგრძე L (კმ)	ქანობი, i	დვარცოფის სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯები Q <sub>max</sub> (მ <sup>3</sup> /წმ)		
			სათავე (მ)	შესართავი (მ)			0.1%	1%	10%
1	ნაღვარევის დელე	6,44	1465	991	3,59	0,1319	648,6	270,2	135,1



## დასკვნა

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილი და შეფასებული იქნა ნაღვარევის დელეს წყალ-შემკრებ აუზში ეროზიული პროცესებისა და ღვარცოფული მოვლენების განვითარების პირობები, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნულ ხეობაში დარღვეულია მდგრადი ეკოლოგიური ბალანსი, რაც საჭიროებს ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების საწინააღმდეგო ეფექტური და ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებას, როგორცაა: ფიტო-მელიორაციული და სატყეო-მელიორაციული, საინჟინრო და სხვა კომპლექსური ხასიათის ღონისძიებები, რათა მომავალში ნაღვარევის დელეს მიმდებარე მოწყველად ფერდობებზე დარეგულირდეს ნიადაგის ეროზიული პროცესები, აღდგენილ იქნეს ბიომრავალფეროვნება და შემცირდეს ღვარცოფის ფორმირების რისკები.

## ლიტერატურა

1. **გავარდაშვილი გ.ვ.** მდინარე დურუჯის აუზში ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების პროგნოზირება და მათი საწინააღმდეგო ახალი საინჟინრო-ეკოლოგიური ღონისძიებები. “მეცნიერება”, თბილისი, 2003, 116 გვ;
2. **გავარდაშვილი გ.ვ., ჩახაია გ. გ.** მდინარე აჭარისწყლის აუზში ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების პროგნოზი და მისი შეფასება. //ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №7-9, თბილისი, 2004, გვ. 61-66;
3. **ჩეკურიშვილი რ.ი., გავარდაშვილი გ.ვ., ნადარაია მ.** მთის ლანდშაფტის კადასტრის შედგენა აეროკოსმოსური მეთოდების გამოყენებით. (მეთოდური მითითებები). თბილისი, 1994, 48 გვ;
4. **Morgan R.P.C., Hann M. J.** Shah Deniz Gas Export Project: erosion risk assessment. Crafeld University, UK, Silsoe, 2001, p. 25.;
5. <http://nala.ge/uploads/borjomi.pdf>
6. <http://presa.ge/new/?m=society&AID=11365>
7. [http://chemiraioniborjomi.blogspot.com/2013/11/blog-post\\_1267.html](http://chemiraioniborjomi.blogspot.com/2013/11/blog-post_1267.html)

## Environmental protection

### THE EVALUATION AND FORECAST OF EROSION- DEBRIS FLOW PROCESSES FORMED AS A RESULT OF ECOCIDE IMPLEMENTED IN 2008 IN BORJOMI VALLEY

**G.G. Chakhaia, Z.N. Varazashvili, L.N. Tsulukidze, R.V. Diakonidze,  
I.V. Khubulava, T.L. Supatashvili, G.G. Omsarashvili**

Ts. Mirtskhulava Water Management Institute  
of Georgian Technical University  
60, Chavchavadze ave. 0162, Tbilisi, Georgia  
**E-mail: gogachaxaia@mail.ru**

**Abstract.** In the Borjomi Valley as a result of field recognition research, in the Nagvarevi Ghele, near to vil. Data fixed debris flow phenomena provoked by negative results of ecocide (fire). It has been established quantities characteristics of erosion debris flow processes on the base of using World

---

appropriate methodology and it has been done forecast for evaluation of risks of geodynamic processes running in Borjomi valley (catchments basin of Nagvarevi Ghele).

**Keywords:** erosion; vulnerability; debris-flow.

**Охрана окружающей среды**

**ОЦЕНКА И ПРОГНОЗ ЭРОЗИОННО-СЕЛЕВЫХ ПРОЦЕССОВ,  
СФОРМИРОВАВШИХСЯ В РЕЗУЛЬТАТЕ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ ЭКОЦИДА  
В БОРЖОМСКОМ УЩЕЛЬЕ В 2008 ГОДУ**

**Г.Г. Чахая, З.Н. Варазашвили, Л.Н. Цулукидзе, Р.В. Диаконидзе,  
И.В. Хубулава, Т.Л. Сунаташвили, Г.Г. Омсараშვილი**

Институт водного хозяйства им. Ц. Мирцхулава  
Грузинского технического университета  
пр. И.Чавчавадзе 60, 0162, г. Тбилиси, Грузия  
**E-mail: gogachaxia@mail.ru**

**Аннотация.** На основе проведения полево-рекогносцировочных исследований в Боржомском ущелье у с. Даба (правый приток р. Гуджарула, ущелье р. Нагваревис-Геле) были зафиксированы селевые явления, спровоцированные негативными последствиями экоцида (лесной пожар). С помощью апробированной в мире методологий, были установлены количественные показатели эрозионно-селевых процессов и дан прогноз для оценки риска геодинамических процессов, протекающих в Боржомском ущелье (водосборный бассейн р. Нагваревис Геле).

**Ключевые слова:** эрозия; уязвимость; сель.

საქართველოში გეოლოგიური საფრთხეების მდგომარეობა  
და მათი ზრდის რისკის ტენდენციები

ე.დ. წერეთელი,<sup>1,2</sup> მ.გ. გაფრინდაშვილი,<sup>1</sup> გ.მ. გაფრინდაშვილი,<sup>1,2</sup>  
ო.ო. ქურციკიძე,<sup>1</sup> ც.გ. დონაძე,<sup>3</sup> თ.ს. ნანობაშვილი<sup>3</sup>

<sup>1</sup> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს  
გარემოს ეროვნული სააგენტო  
დავით აღმაშენებლის გამზ. 150, 0112, ქ. თბილისი, საქართველო

E-mail: otarkurtsikidze@yahoo.com

<sup>2</sup> ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი  
მ. ალექსიძის 1, კორპ. 8, ქ. თბილისი, საქართველო

<sup>3</sup> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, ქ. თბილისი, საქართველო

**ანოტაცია.** საქართველოში მრავალსპექტრიანი სტიქიური გეოლოგიური პროცესებით ტერიტორიების დაზიანებადობა მასშტაბურია, განმეორებადობა ხშირი, ეკონომიკური ზარალი დიდი და საშიშროების რისკი მაღალი. მათი საშიშროების რისკის არეალში მოქცეულია ქვეყნის ტერიტორიის 70%-მდე. მაგრამ, მიყენებული ეკონომიკური ზარალითა და ადამიანთა მსხვერპლის მიხედვით უმაღლეს რეგისტრში განიხილება, განსაკუთრებული ჰეტეროგენული ბუნების მქონე და დროის ინტერვალებში მზარდი მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენები.

საქართველოში მეწყრულ – გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების საშიშროების რისკის შესახებ სრულ წარმოდგენას გვაძლევს დღეისათვის დამუშავებული ტერიტორიის დარაიონების (ზონირების) სპეციალური რუკები დაზიანებადობისა და საშიშროების რისკის მიხედვით. დარაიონების პრინციპს საფუძვლად უდევს მუდმივად განმსაზღვრელი (ბაზისური) პროცესგანმსაზღვრელი ისეთი დეტერმინანტული სუბსტრატი, როგორც არის გეოლოგიური გარემოს თავისებურება, ლითოლოგია, რელიეფის ენერგეტიკული პოტენციალი, ჰიდროგეოლოგიური პირობები და მისი მგრძობიარობა ამ პროცესებისადმი. არასტაციონარულ რეჟიმში დროში ცვალებადი პროცესმაპროვოცირებელ სტოქასტიკურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ გეოლოგიურ გარემოს გამოყვანას დამყარებული კომპოსტატიზმის მდგომარეებიდან და ფიზიკური ველების დაძაბულობის მიყვანას კრიტიკულ ზღვრამდე, რაც იწვევს მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების დინამიკაში მოყვანას ფონური მდგომარეობიდან ექსტრემალურამდე.

ამ სახის რუკები წარმოადგენს ბაზურ საფუძველს ტერიტორიის შესაფასებლად სხვადასხვა მიმართულების სამეურნეო-საინჟინრო საქმიანობისათვის და რეგიონული ხასიათის გეომონიტორინგის საწარმოებლად. მაგრამ, ვინაიდან, მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესები დროსა და სივრცეში არასტაციონარულ დინამიკურ რეჟიმში მიმდინარე მკვეთრად ცვალებადი მოვლენებია, აუცილებელია პერიოდულად (10 წელიწადში ერთხელ მაინც) ხდებოდეს ამ სახის რუკების განახლება. ამაში დაგვეხმარება პერმანენტულად წარმოებული რეგიონული გეომონიტორინგული კვლევებით მოპოვებული ინფორმაცია

**საკვანძო სიტყვები:** მეწყრულ-გრავიტაციული პროცესები; რისკი და საშიშროება; შერბილება.

## გეოლოგიური სტიქიის მღზომარეობის ზოგადი სურათი

საქართველო ეგზოგენური გეოლოგიური სტიქიურ-კატასტროფული პროცესების განვითარების მასშტაბებით, მათი დროში განმეორებადობით და მათგან მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და საინჟინრო ობიექტებისადმი მიყენებული ნეგატიური შედეგებით მსოფლიოს მთიან მხარეთა ერთ-ერთ ურთულეს რეგიონს განეკუთვნება.

გეოლოგიური სტიქიის ძლიერ ზეგავლენას (ხშირად კატასტროფული შედეგებით) პერიოდულად განიცდის ათასობით დასახლებული პუნქტი, მიწის სავარგულები, გზები, ნავთობ- და გაზსადენების ტრასები, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძები, ჰიდრო-ტექნიკურ-სამეფიორაციო ობიექტები, სამთო-ტურისტული კომპლექსები და სხვ. სტიქიის საშიშროების არეალში მოქცეულია თითქმის ყველა ლანდშაფტურ-გეოგრაფიული ზონა – ზღვისპირეთიდან დაწყებული, ალპურ-ნივალურით დამთავრებული, სადაც გეოეკოლოგიური სიტუაცია გართულებულია „დაძაბულიდან“ – „კრიზისულ“ მღზომარეობამდე. აქ განვითარებული ღვარცოფებით, მეწყრულ-გრავიტაციული და ეროზიული მოვლენებით, წყალდიდობებით, მყინვარების ჩამოქცევით და მათგან ტრანსფორმირებული ე.წ. „გლაცი-ალური ღვარცოფებით“ გამოწვეული უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური შედეგები მოიცავენ ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს.

განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაა შექმნილი მთიან რეგიონებში, სადაც სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების პირობებში, არც თუ იშვიათად საჭირო ხდება მოსახლეობის აყრა ისტორიულად დამკვიდრებული საცხოვრისიდან და ზოგჯერ გაყვანა სხვა რაიონებშიც. ამას XX საუკუნის მეორე ნახევარში მოჰყვა ათეულობით მთის სოფლის დაცარიელება და მიწების გავერანება. ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ამ მოვლენებს ხშირად თან სდევდა ადამიანთა მსხვერპლი. მარტო 1987 წლიდან დღემდე საქართველოში სტიქიამ შეიწირა 600-ზე მეტი ადამიანი, ხოლო ბოლო 35 წლის მანძილზე მათმა რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა. ამავე პერიოდში სტიქიით დაზიანებული ადგილებიდან გაყვანილი იქნა 60-ათასამდე ოჯახი.

სტიქიის ფონური გააქტიურების პირობებშიც კი საერთო ეკონომიკური ზარალი ათეული მილიონი დოლარით განისაზღვრება, ხოლო მისი ექსტრემალური განვითარებისას ასეულ მილიონებს აჭარბებს. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოში 1967 წლიდან სტიქიით მიყენებული უარყოფითი შედეგების არასრული მონაცემები: 1967-1968 წლებში მარტო მეწყრული პროცესების ექსტრემალური გააქტიურების შედეგად დასავლეთ საქართველოში მიყენებულმა ზარალმა 500 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; 1987-1989 წლების კატასტროფული სტიქიის შედეგად, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო მოიცვა – ზარალმა 1 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 1991-1992 წლებში მიწისძვრებით, მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენებით გამოწვეულმა ზარალმა 10 მლრდ. დოლარს მიაღწია. 1981-2000 წლებისათვის შედგენილი საქართველოს ეროზიის საწინააღმდეგო გენერალური სქემის [1] თანახმად, გეოლოგიური სტიქიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებელი ღირებულებები განისაზღვრა 1,300 მლრდ. დოლარის ფარგლებში. 1982 წელს მდ. რიონის წყალდიდობით დაიტბორა 13 000 ჰა ტერიტორია და ზარალმა შეადგინა 12 მლნ. დოლარი. 1987 წლის წყალდიდობებით დასავლეთ საქართველოში დაიტბორა 20 000 ჰა ფართობი, დაზიანდა 3 200 და დაინგრა 2 000 საცხოვრებელი სახლი, 650 ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა, რკინიგზა – 16 კმ, საავტომობილო გზა – 13 კმ, დროებით ევაკუირებულ იქნა 16 ათასი ადამიანი. საერთო ზარალმა 300 მლნ დოლარი შეადგინა [4].

1967-1978 წლებში საქართველოში გეოლოგიური სტიქიით მიყენებულმა ზარალმა 2 მლრდ. დოლარს გადააჭარბა, დაიღუპა 150 ადამიანი; რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში 1987-

1990 წლებში მიყენებული ზარალი 20 მლნ. აშშ დოლარს აღემატებოდა [3].

1967-2008 წლებში აჭარაში მეწყრულ-ღვარცოფული მოვლენებით, წყალდიდობებით, მდინარეთა ნაპირებისა და ზღვის სანაპიროს წარცხვით მიყენებულმა ზარალმა 1,5 მლრდ. დოლარი შეადგინა და ადამიანთა მსხვერპლმა 200 გადააჭარბა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე 1966 წლიდან 1992 წლის საომარი მოქმედების დაწყებამდე მეწყრების ექსტრემალური გააქტიურება დაფიქსირებული იყო 1967-68, 1971, 1974-76, 1982, 1987-89 და 1991 წლებში. მათი მაღალი საშიშროების რისკის არეალში იმყოფებოდა 82 დასახლებული პუნქტი, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბრუნვიდან ამოვარდა 20 000 ჰა მიწის სავარგული. მარტო 1987-89 წლებში სხვადასხვა ხარისხით დაზიანდა 1 400 საცხოვრებელი სახლი, ხოლო დაინგრა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა 560 საცხოვრებელი სახლი, საავტომობილო გზების 20% მეწყრული პროცესების საშიშროების ზონაში იმყოფება.



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით 2001-2007 წლებში ბუნებრივი სტიქიის შედეგად დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების აღსადგენად დაიხარჯა 3 550 ათასი ლარი.

საქართველოში თუ XX საუკუნის ბოლო ათწლეულამდე მეწყრულ-ღვარცოფული და ეროზიული პროცესების გააქტიურების ექსტრემუმი, უმეტესწილად ემორჩილებოდა გარკვეულ ციკლურობას და ადგილის გეოლოგიურ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, საშუალოდ მეორდებოდა 3-5 და 8-11 წლის ინტერვალით, 90-იანი წლებიდან მოყოლებული პროცესების საშუალო ფონს ზემოთ გააქტიურებას ადგილი აქვს თითქმის ყოველ წელს, ხოლო მათი ექსტრემალური გამოვლინების ინტერვალები მნიშვნელოვნად შემოკლებულია. შედეგად პროცესების უარყოფითი მოქმედების არეალში ექცევა სულ ახალი და ახალი ფართობები, დასახლებული პუნქტები და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტები [4].

ამ პერიოდისათვის საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული იყო 53-ათასამდე დინამიკაში მყოფი და საშიშროების რისკის ზონაში მოქცეული მეწყრულ-გრავიტაციული უბანი, 3000-მდე ღვარცოფტრანსფორმირებადი ეროზიული წყალსადინარი, მდინარეთა ნაპირების ეროზიული გარეცხვის 1000-ზე მეტი უბანი 1 500კმ საერთო სიგრძით, ზღვის ნაპირების ინტენსიური წარცხვა 180კმ-ზე და რამდენიმე ათასი თოვლის ზვავის მუდმივი ჩამოსვლის ადგილი. ყველა ამ პროცესის საშიშროების რისკის არეალში მოქცეულია 3 000-მდე დასახლებული პუნქტი (ანუ საერთო რაოდენობის 63%) და 400 ათასამდე ოჯახი. სტიქიური პროცესების რეაქტივაცია წლითიწლობით გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა და დღეისათვის მათგან დაზიანებული და მაღალი საშიშროების რისკის სივრცეში მოქცეულია მთელი ქვეყნის 70%-მდე. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს ტერიტორიაზე „საქგეოლოგიის“ მიერ სხვადასხვა წლებში კარტირებული გეოლოგიური სტიქიის საშიშროების არეალში მოქცეული ფართობები (დიაგრამა 1).

სტიქიის განსაკუთრებული ექსტრემალური რეაქტივაცია დაიწყო XXI საუკუნის გარიჟრაჟზე და აქედან მოყოლობული მათ განმეორებადობას საშუალო ფონზე მაღალი ადგილი აქვს თითქმის ყოველ წელს ცალკეული პაროქსიზმული აფეთქებებით. ამის ნათელი დადასტურებაა №1 ცხრილში ასახული სტატისტიკური მონაცემები, მოპოვებული რეგიონული მონიტორინგის პროცესში. მაგალითისათვის, 2004-2005 წლებში სტიქიის განსაკუთრებულად მაღალი საშიშროების რისკის არეალში აღმოჩნდა 1 035 დასახლებული პუნქტი, სხვადასხვა ხარისხის დეფორმაცია განიცადა 3 070 საცხოვრებელმა სახლმა, ხოლო 3 000-მდე აყვანილ იქნა გეომონიტორინგული კონტროლის ქვეშ. დაიტბორა, დაიმეწყრა და ღვარცოფული ნაკადებით მოისილა საერთო ჯამში 23 886 ჰა სავარგული, ხოლო მდინარეთა ნაპირები გაირეცხა 217კმ-ზე, გადაუღებელი რეაბილიტაცია დასჭირდა

სხვადასხვა კატეგორიის საავტომობილო გზებს 400კმ-ზე, საერთო ზარალმა 350 მლნ. ლარს გადააჭარბა, ხოლო ადამიანთა მსხვერპლმა 88-ს.



წელი/Year

დიაგრამა - 1

ცხრილი №1

წლები	მეწევერი				ღვარცოფი				საშიშროების რისკის ზონაში მოქცეული ობიექტები		
	გააქტიურებული და ახლად წარმოქმნილი	მიანობები პირდაპირი ზარალი (მლნ ლარი)	აღმართა მსხვერპლი	ღვარცოფის წარმოქმნის რაოდენობა	მიანობები პირდაპირი ზარალი (მლნ ლარი)	აღმართა მსხვერპლი	მილიანი ზარალი (მლნ ლარი)	დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო საგარეულობები	დაზიანებული პუნქტების რაოდენობა	საცხოვრებელი სახლები	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
1995	670	132	6	250	96	12	228	179	274	195	
1996	610	80.3	3	165	27	5	107.3	232.3	403	626	
1997	871	102	2	335	44	7	146	336.5	458	227	
1998	543	67	5	173	20	6	87	229.6	370	159	
1999	56	12	1	27	4.5	-	16.5	137.8	157	314	
2000	65	13	1	23	3.0	-	16	162.2	240	207	
2001	75	15	-	26	4.0	-	19	127.5	191	127	
2002	69	13.8	1	23	2.5	2	16.3	147.9	203	193	
2003	71	14.5	3	28	4.0	-	18.5	106.5	90	207	
2004	949	147	4	258	28	2	175	16289.2	755	6042	
2005	603	96	-	155	9.0	4	105	7589.6	473	3682	
2006	356	70.5	1	63	9.0	-	79.5	3172.5	531	2066	
2007	136	20.5	-	104	11.5	-	32	1389.1	269	707	
2008	311	48	8	126	15	8	63	1387.7	392	1198	
2009	323	63.5	1	193	16.5	3	80	8232.3	521	2696	
2010	250	20	3	81	5.0	2	25	1155	366	822	
2011	94	უცნობი	3	37	9.0	8	20	652	181	463	
2012	325	უცნობი	1	88	50.0	5	50	1255	239	845	
2013	331	უცნობი	-	90	უცნობი	-	უცნობი	1413	267	1269	
2014	715	უცნობი	-	141	უცნობი	10	უცნობი	2460	298	982	
<b>სულ</b>	<b>7440</b>	<b>915.1</b>	<b>43</b>	<b>2389</b>	<b>358</b>	<b>74</b>	<b>1284.1</b>	<b>46654.7</b>	<b>6678</b>	<b>23027</b>	

ბუნებრივი სტიქიის მაღალი რეაქტივაციის რისკის ქვეშ მოექცა დასახლებულ პუნქტებთან ერთად ისეთი სტრატეგიული სახაზო ობიექტები, როგორებიცაა პირველი კატეგორიის საავტომობილო გზები და ნავთობ-გაზსადენები, რომელთა უმეტესობა გადის გეოლოგიურად მაღალი სენსიტიურობისა და გეოსაშიშროების არეალებში. ამის დადასტურებაა ცხრილში №2 მოყვანილი სახაზო ობიექტების გეოლოგიური კატასტროფებით დაზიანებადობის ხარისხი და საშიშროების რისკი, დაფიქსირებული დაპროექტების პირველ სტადიაზე.

**ცხრილი №2**

**საქართველოს სახაზო ობიექტების გეოლოგიური კატასტროფების  
 საშიშროების რისკი და დაზიანებადობის კოეფიციენტი**

ობიექტი	გეოლოგიური მოვლენები		
	მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენა	დვარცოფტრანსფორმირებადი წყალსადინრების რაოდენობა	ნაპირების გარეცხვა, უბანი
მთავარი საავტომობილო გზები, 3000კმ სიგრძეზე	2500	360	565
რკინიგზა – 300კმ	45	65	–
ხაშური-ბათუმის ნავთობსადენი – 232კმ	42	91	300
ტრანსკავკასიის გაზსადენი – 148კმ	65	40	60
დას. მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენი ბაქო-სუფსა – 232კმ	23	51	22
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და შაჰდენიზი-ერზრუმის გაზსადენი – 249კმ	13	16	25

ბოლო პერიოდში გეოლოგიური სტიქიის ასეთი მასშტაბით განვითარება-რეაქტივაცია არასტაციონარულ რეჟიმში და გეოეკოლოგიური გართულებები უკიდურესად სენსიტიური გეოლოგიური გარემოს საერთო ფონზე, განაპირობა:

1. მაღალი ინტენსივობის მიწისძვრების გააქტიურებამ კავკასიაში (1988 წ. – სპიტაკის, 1991 წ. – რაჭა-იმერეთის, 1992 წ. – ფასანაური-ბარისახოს, 2002 წ. – თბილისის, ასევე სეისმური მონიტორინგის ცენტრის მიერ დაფიქსირებული მიწისძვრებით: 2005 წ. – ენგურის, 2006 წ. – რაჭის, კახეთის, ცხინვალის, 2007 წ. – ჯავახეთის, ახალქალაქის, 2008 წ. – რაჭის, კახეთის, ყაზბეგის, დმანისის, 2009 წ. – ონის, ახალქალაქის, იმერეთის, 2010 წ. – შაორის (ხარისთვალის), დედოფლისწყაროს, ყვარლის, დმანისის, ონის), რომლებიც აგრძელებენ „სიცოცხლეს“ დღემდე და არსებობს სეისმოლოგთა პროგნოზი, რომ ახლო მომავალში არ შენელებს სეისმური აქტივობა;

2. გლობალური კლიმატური ცვლილებების საერთო ფონზე ეგზოდინამიკური პროცესების მაპროვოცირებელი უარყოფითი მეტეოროლოგიური მოვლენების (პირველ ყოვლისა ატმოსფერული ნალექები, ტემპერატურა, ტენიანობა) გახშირებამ და რაოდენობრივმა ზრდამ საშუალო მრავალწლიურ მანუალებლებთან მიმართებაში;

3. ადამიანის მასშტაბურმა ზემოქმედებამ გარემოზე და მისი ბალანსური წონასწორობის

მკვეთრმა დარღვევამ, როგორცაა მოსახლეობის დასახლება და მიწების უსისტემო ათვისება, ხშირად ყოველგვარი წინმსწრები შეფასების გარეშე, ახალი სახაზო ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია გეოდინამიკურად რთულ სივრცეებში, ტყის საფარის მასიური გაჩეხვა, ჩაის პლანტაციების დიდ ფართობებზე ამოძირკვა და ა.შ. კვლევები ადასტურებენ, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსახლეობა სახლდება დროებით სტაბილიზებულ მეწყრულ სხეულებზე, ღვარცოფულ გამონატანებზე, მდინარეთა ჭალებზე, ჰიდროტექნიკური ნაგებობების აკრძალული ზონის ფარგლებში. არცთუ იშვიათად ეკომიგრანტებისათვის გამოყოფილ ახალ ფართობებზე დასახლება ხდება სათანადო გეოლოგიური შეფასების გარეშე.

საყურადღებოა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულ გეოლოგიურ პროცესებს შორის უმეტეს შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი ხდება გამიჯვნა სტიქიური პროცესების მაპროვოცირებელ ბუნებრივ და ანთროპოგენურ ფაქტორებს შორის.

საქართველოში სტიქიური ეგზოგეოლოგიური პროცესებიდან თავისი განვითარების მასშტაბებით, განმეორებადობის სიხშირით, გენეტიკური მრავალსახეობრიობით, მიყენებული ნეგატიური შედეგებით და საშიშროების რისკით უმაღლეს რეგისტრში დგას მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენები. ქვეყნისადმი გეოლოგიური სტიქიით მიყენებული ზარალის 70%-ზე მეტი, ეკომიგრანტების 90%-მდე და ადამიანთა მსხვერპლის 80%-მდე ამ პროცესებს უკავშირდება.

### მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების მოკლე მიმოხილვა

მეწყრულ-გრავიტაციული პროცესები გვხვდება ყველა კლიმატურ-გეომორფოლოგიურ ზონაში, დაწყებული ზღვისპირეთიდან, დამთავრებული მაღალმთიან-ალპურით. დღეისათვის დაფიქსირებულია მათი სხვადასხვა ხარისხის დინამიკაში მყოფი და მაღალი საშიშროების რისკის 53 ათასი უბანი, რომელთა საერთო ფართობი 1.5მლნ ჰა-ს აღემატება. მათგან დინამიკაში მყოფი მეწყრების 70%-მდე ფიქსირებულია დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სახაზო საინჟინრო ობიექტების ზონაში. დღეისათვის მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენების უშუალო საშიშროების ზონაში იმყოფება 2 ათასამდე დასახლებული პუნქტი, 200 000-ზე მეტი მოსახლით, ცენტრალური საავტომობილო გზების, ნავთობ და გაზსადენების, დიდი ჰიდროტექნიკური წყალსაცავების არეალში დაფიქსირებულია 1 715 მეწყრული უბანი. სრულად გამოსულია მწყობრიდან თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის შემოვლითი გზების მონაკვეთები. მთლიანობაში სახაზო საინჟინრო ობიექტების 25%-მდე მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენების საშიშროების რისკის ზონაში იმყოფება.

მეწყრული პროცესების ფონური აქტივობის პირობებშიც კი ქვეყნის ეკონომიკისადმი ყოველწლიური მიყენებული ზარალი რამდენიმე ათეული მილიონი დოლარით განისაზღვრება, მათ შორის სოფლის მეურნეობის ობიექტებისათვის, მათი საშუალო აქტივობის პირობებშიც კი, პირდაპირი ზარალი საშუალოდ 40-50 მლნ. დოლარს შეადგენს.

მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების ექსტრემალური და პაროქსიზმული გააქტიურების შემთხვევაში მათგან გამოწყეული უარყოფითი შედეგები განუსაზღვრელად დიდია. მაგალითისათვის, 1967-68 წლებში დასავლეთ საქართველოში განვითარებულმა ექსტრემალური ხასიათის მეწყრულ-გრავიტაციულმა მოვლენებმა 300 ათას ჰა ფართობზე დაახინა და დაანგრია 10 000-მდე საცხოვრებელი სახლი, უვარგისი გახადა დასამუშავებლად



30 000 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და 5 000-მდე მოსახლე გადასაცემი გახდა ახალ ადგილზე.

1975-1976 წლებში აფხაზეთის ზღვისპირეთში მეწყერმა დაანგრია 900-მდე საცხოვრებელი სახლი და სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი გახდა 5 400 ჰა ფართობი. 1987-1989 წლების კატასტროფული ხასიათის მეწყერულ-გრავიტაციული მოვლენების გააქტიურების შედეგად დაზიანდა და დაინგრა 20 000-მდე საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ობიექტი, 9000-მდე ოჯახი გადაყვანილი იქნა ახალ უსაფრთხო ადგილზე.

